ჩვენი არქიტექტურული სკოლის სტუდენტებმა არაერთ საერთაშორისო  კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და მათ მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნიათ.




1960 წელს მოსკოვში არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) V კონგრესთან დაკავშირებულ მსოფლიოს არქიტექტურული სკოლების სადიპლომო პროექტების საერთაშორისო კონკურს–დათვალიერებაში ვახტანგ დავითაიას პროექტმა “მესტიის ცენტრის დაგეგმარება–რეკონსტრუქცია”ლაურეატის დიპლომი დაიმსახურა.

წარმატებით იყო ექსპონირებული სტუდენტთა საერთაშორისო გამოფენებზე: 1961 წელს ლონდონში კობა ხატიაშვილის პროექტი “გადასაადგილებელი თეატრი”, ხოლო 1963 წელს ჰავანაში – გოგი ტონიას “მიკრორაიონი 10000 მცხოვრებზე. 1965 წელს პრაღაში გიორგი მურმანიშვილის პროექტი “საცხოვრებელი კომპლექსი“ აღნიშნული იყო წამახალისებელი პრემიით. 1969 წელს ბუენოს-აირესში დემურ ელოშვილის პროექტი “საცხოვრებელი კომპლექსი განვითარებადი ქვეყნებისათვის” აღინიშნა ადოლფ ლოოსის სახელობის ვენის პრემიით. 1972 წელს ვარნაში პავლე ძინძიბაძის პროექტი “დასასვენებელი ზონა ქ. მცხეთაში” აღნიშნული იქნა დიპლომით. 1975 წელს მადრიდში გივი ქობულიას პროექტი შევიდა 20 საუკეთესო ნამუშევართა რიცხვში.  1985 წელს ლონდონში – ბექა გოცაძე და ალექსანდრე რამიშვილი. 1986 წელს ინგლისში მარიამ მალაღურაძემ გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსის პირველ ტურში. 1987 წელს პარიზში სერჟი-პონტუაზის ზაფხულის უნივერსიტეტის ტრადიციულ კონკურსში  I პრემია მოიპოვეს გაგა კიკნაძემ და ლევან მუშკუდიანმა. 1988 წელს ამავე კონკურსში I პრემია მიიღო თამარ კვესიტაძემ და ლევან ლომინაშვილმა, II პრემია მიიღო ნინო ჩხეიძემ, ხოლო გიორგი გელაშვილმა წამახალისებელი პრემია.

შემდგომ წლებში აღნიშნულ კონკურსში ჩვენი სტუდენტების მონაწილეობა ტრადიციული ხდება და მათ დაიმსახურეს: 1989 წელს თინათინ ყაზახიშვილმა და გვანცა რადლევსკაიამ II პრემია; 1990 წ. თამარ ჩხეიძემ I პრემია და დავით ჩიქოვანმა წამახალისებელი პრემია; 1991 წელს ლევან გეგეშიძემ I პრემია; 1992 წელს ალექსანდრე ბალიაშვილმა I პრემია; დავით ნიკოლაიშვილმა კი წამახალისებელი პრემია; 1993 წელს დავით სუხიაშვილმა II პრემია  და მიხეილ ჩიტაშვილმა წამახალისებელი პრემია; 1994 წელს აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობდნენ სოლომონ მიქიაშვილი და დიმიტრი ნაფეტვარიძე; 1996 წელს სერჟი-პონტუაზის საერთაშორისო კონკურსში I პრემია მოიპოვა ლელა გურგენიძემ; 1997 წელს მიხეილ ბუჯიაშვილმა კი მიიღო წამახალისებელი პრემია. 1998 წელს  ირაკლი ქვანიამ მოიპოვა II პრემია, ხოლო 1999 წელს  შორენა წილოსანმა წამახალისებელი პრემია.

2005 წლიდან ჩვენი სტუდენტები მონაწილეობენ  საერთაშორისო სტუდენტურ კონკურსში, რომელიც შვეიცარული ფირმა „Shindler Group”-ის თაოსნობით მიმდინარეობს. ამავე წელს 496 პროექტს შორის პირველ ნომინაციაში –  „10 საუკეთესო“ მოხვდა დიპლომანტ  სანდრო კაციტაძის პროექტი, ხოლო მეორე ნომინაციაში – „20 საუკეთესო“  მოხვდა დიმიტრი მოძმანაშვილის და რევაზ ქეშელაშვილის პროექტები.
“2006 წელს საფრანგეთის ქალაქ სერჟი–პონტუაზის ტრადიციულ საზაფხულო სკოლის კონკურსში დავით ბოსტანაშვილმა მოიპოვა I პრემია.



2008 წელს მსოფლიო არქიტექტორთა კავშირის UIA-ს მიერ გამოცხადებულ ახალგაზრდა არქიტექტორთა კონკურსში, რომელშიც 400–ზე მეტი პროექტი მონაწილეობდა ჩვენამ მაგისტრანტებმა დათო გიორგაძემ,



გიგი შუკაკიძემ და კახა კახნიაშვილმა, მეორე პრემია დაიმსახურეს.

2010  წელს სერჟი–პონტუაზის კონკურსში ჩვენმა მაგისტრანტებმა ვასილ გიორგაძემ I პრემია, ხოლო ლაშა ჩხაიძემ  მესამე პრემია დაიმსახურეს.



les ateliers

L'INTERFACE RURAL / URBAINDES GRANDES MÉTROPOLES
THE RURAL / URBAN INTERFACE OF LARGE METROPOLITAN AREAS

Vasil GIORGADZE

Participant

1er PRIX

ESSEC





ამავე 2010 წელს „შინდლერის“ საერთაშორისო სტუდენტურ კონკურსში სპეციალური პრემია „კრეატიული გადაწყვეტისათვის“ დაიმსახურეს ჩვენმა მაგისტრანტებმა ლევან მათიაშვილმა და მიხეილ როყვამ.



ათეული წლების განმავლობაში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების არქიტექტურული სკოლების სადიპლომო ნამუშევრების საკავშირო დათვალიერება–კონკურსი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი არქიტექტურული სკოლაც.

**1960 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა წლებში უმაღლესი და პირველი პრემიები მოპოვებული აქვთ:** ვლადიმერ ქურთიშვილს, რამაზ კიკნაძეს, ვაჟა გიგაშვილს, ამური ფხაკაძეს, თემო ბოჭორიშვილს, თამაზ ქავთარაძეს, გოგი ტონიას, ალიკა ჯაფარიძეს, გურამ აბულაძეს, გია ნადირაძეს, ვალერი ბახტაძეს, გივი გაბუნიას, ომარ ნაფეტვარიძეს, თამაზ გერსამიას, ზაურ მამალაძეს, ნოდარ ჯანშიაშვილს, საყვარლა სალუქვაძეს, პლატონ ხუხიას, მარინა ნარეშელაშვილს, თენგიზ სეფიაშვილს, რუსუდან ლორთქიფანიძეს, თემურ ზედელაშვილს, ნანა ცომაიას, კახა ქორიძეს, გივი გეგეშიძეს, შოთა ბოსტანაშვილს, ლალი ხუციშვილს, თინა ჯირაშვილს, დავით მახარობლიშვილს, გია აბულაძეს, გივი ქობულიას, ტარიელ მერაბიშვილს, ზურაბ ღონღაძეს, დონარა მჭედლიძეს, გივი გოგრიჭიანს, გია ტყემალაძეს, თინა სირბილაძეს, მირიან გედენიძეს, ზაქარია ფილიშვილს, ვახტანგ დოგრაშვილს, ბესიკ გაბათაშვილს, ნატალია ვასილევას, დათო იოსებიძეს, მაია ძიძიგურს, თამაზ კვიწინაშვილს, მარინა მაისურაძეს, ზაზა სვანაძეს, დათო ჩხეიძეს, სვეტლანა კამოილოვას, გია სიბაშვილს, ბადრი მიქაძეს, შაკო მელქაძეს, გიორგი ინასარიძეს, კახი კავთუაშვილს, შოთა ღევღარიანს, მანანა ბასილიძეს, ირაკლი ჯაფარიძეს, გაგა კიკნაძეს, ლევან მუშკუდიანს, დიტო მარგალიტაშვილს, ეკა რამიშვილს, მიხეილ ხომერიკს,მამუკა ქევხიშვილს. ხათუნა ხაგულაშვილს, ალეკო ჯობავას, ნ. ოქუაშვილს, ზაზა გაგნიძეს, ლევან მათიაშვილს, გიორგი მელაძეს, გიორგი შაყულაშვილს, ალექსანდრე ხასიას, ნათია ლეკვეიშვილს.









**მეორე პრემია მოიპოვეს:** კობა ხატიაშვილმა, ელდარ ჩხეიძემ, ციალა გიორგაძემ, ჯონი გამყრელიძემ, ლიალია აგაბაბიანმა, გიორგი სალუქვაძემ, ლევან ბოკერიამ, თინა ერისთავმა, მარინა მამინაიშვილმა, ჯონი ჩხაიძემ, მანანა ჯიბლაძემ, გივი ნანიტაშვილმა, ნანა კაიშაურმა, თემურ სვანიძემ, ასმათ ჭიკაიძემ, ნუგზარ ბილანიშვილმა, ავთო მახარაძემ, ზურაბ ბაქრაძემ, დარეჯან ფიცხელაურმა, გია ქინქლაძემ, დავით მაჭავარიანმა, ნუგზარ მაღლაკელიძემ, თეიმურაზ ხოჯავამ, ირაკლი ხოსიტაშვილმა, ბესიკ კაპანაძემ, ლევან კვიცარიძემ, მერაბ გუჯაბიძემ, ლეილა მეგრელიშვილმა, კობა ვარდანაშვილმა, პაატა ჭავჭანიძემ, ნინუკა ჩიქოვანმა, გოგი მარგიშვილმა, ვალერი კეკელიშვილმა, კარენ ხაჩატუროვმა, რუსუდან საბანაძემ, ირაკლი როსტომაშვილმა, ზურაბ ლოლაშვილმა, მამუკა ზვიადაძემ, ნინო მანჯავიძემ, ა.წულუკიძემ, თინათინ ჩიგოგიძემ, შალვა ქლენტმა, ნინო გეთიამ, გიგა მაქარაშვილმა, ლევან ყავლაშვილმა, ნინო მჭედლიშვილმა, ვიქტორ მეტრეველმა, ქეთევან ცირეკიძემ, ლელა შანიძემ, ზურაბ ჯაფარიძემ, ალექსანდრე ფეტვიაშვილმა, ბაადურ ჯინჭარაძემ, სოლომონ მიქიაშვილმა, თეა რიჟამაძემ, თ. გამცემლიძემ, გურამ აბულაძემ, ვახტანგ ნემსაძემ.
**მესამე პრემიები მოპოვბული აქვთ:** ნინო ორაგველიძეს, ცისანა ჩაჩანიძეს, ირაკლი მასხარაშვილს, გიორგი შაიშმელაშვილს, ვახტანგ მიქელაძეს, ნესტან რაზმაძეს, ალბერტ ჯანელიძეს, ნოდარ ნინუას, ზურაბ სეხნიაშვილს, ბადრი გეგელიას, ქეთინო კიკალეიშვილს, შოთა გვანცელაძეს, გოდერძი მაჩაბლიშვილს, გიორგი მირიანაშვილს, ბესიკ ჯოხარიძეს, ნატო ჯოხაძეს, ნესტან თათარაშვილს, ქეთი ქობულიას, ია კუპატაძეს, ვალერი ვარდანიას და სხვებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტს მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობები აქვს უცხოეთის წამყვან არქიტექტურულ სკოლებთან.

მას შემდეგ რაც ჩვენი ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, ფაკულტეტმა მიზნად დაისახა მსოფლიოს წამყვანი არქიტექტურული სკოლების გამოცდილების გაზიარება, იქ აპრობირებული სწავლების ფორმების, სხვა ინოვაციების ჩვენთან დანერგვა.

წლების განმავლობაში ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიის, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტთან, რომელთანაც წარმატებით ხორციელდებოდა სტუდენტთა და პედაგოგთა ორმხრივი გაცვლა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

1990 წლიდან აქტიური თანამშრომლობა გაღვივდა კარლსრუეს უმაღლესი ტექნიკური სკოლის არქიტექტურის ფაკულტეტთან, სადაც წლების განმავლობაში სადიპლომო ნამუშევრების შესასრულებლად იგზავნებოდა ჩვენი ფაკულტეტის ორ—ორი საუკეთესო სტუდენტი.

დღეს ეს ტრადიცია გრძელდება გერმანიის ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს არქიტექტურულ სკოლასთან, როგორიცაა კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. ჩვენი და ამ სკოლის სტუდენტები წარმატებით ასრულებენ ერთობლივ საკურსო სამუშაოს. ჩვენი სტუდენტები გერმანიაში სისტემატურად გადიან პროფესიული პრაქტიკის რამოდენიმე თვიან კურსებს “ფოლქსვაგენის” ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ფაკულტეტი თანამშრომლობს იტალიის, კერძოდ, პალერმოს, მილანის და რომის არქიტექტურულ სკოლებთან. ჩვენმა სტუდენტებმა და პედაგოგებმა 2004 წლის მაისში რომის უნივერსიტეტის არქიტექტურულ სკოლაში “ლა საპიენცა” მოაწყვეს საკუთარი ნამუშევრების გამოფენა, ამავე დროს გაიარეს იტალიის არქიტექტურის გაცნობითი პრაქტიკა.

2007 წელს კონკურსის საფუძველზე შერჩეულმა ჩვენი ფაკულტეტის 5 სტუდენტმა შვეიცარიელ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს პირობებისათვის სოციალური საცხოვრისის შექმნისადმი მიძღვნილ ვორქშოფში, რომელიც 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა

შვეიცარიის ქალაქ მენდრიზიოს არქიტექტურის აკადემიაში .





2008 წელს ჩვენმა 8 სტუდენტის მიერ შესრულებულმა პროექტმა ბერლინში ტექნიკური უნივერსიტეტის ქალაქთგეგმარების კათედრის სტუდენტებთან ერთად გაიმარჯვა კონკურსში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.









2008 წლის მარტში სტუ-ს არქიტექტურის, უბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდნენ თურქეთის ქალაქ ტრაბზონის შავი ზღვის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებმაც ქართველ სტუდენტებთან ერთობლივად ჩაატარეს არქიტექტურული ვორქშოფი, რომელიც თბილისის საცხოვრებელი უბნების განვითარების პრობლემებს მიეძღვნა. თურქეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი თურქი არქიტექტურის თეორეტიკოსი, საქართველოს დიდი მეგობარი, ქალბატონი შენგულ გური. მას და მის კოლეგებს სტუ-ს ხელმძღვანელობამ თბილი დახვედრა მოუწყო.







ჩვენს ფაკულტეტს თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ჩეხეთის, პრაღის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტთან. 2010 წლის განმავლობაში ჩვენი სტუდენტები მონაწილეობდნენ ჩეხი არქიტექტორის იან ბოჩანის მიერ ჩატერებულ სტუდიურ სწავლებაში, რომელიც თბილისის ისტორიული ცენტრის ქალაქთგეგმარებითი განვითარების პრობლემებს მიეძღვნა. შვიდი საუკეთესო ნამუშევრის ავტორმა (თამარ ცანავა, ელენე დარჯანია, ეკა მალუტაშვილი, თამრო ონიანი, ლაშა ბარბლიშვილი, ბექა ხუციშვილი, ვახტანგ ნემსაძე) თავისი ნამუშევრები გამოფინა პრაღის ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში. გამოიცა ამ ნამუშევრების ილუსტრირებული კატალოგი.





**ქშოფები**

**1.2009 წლის 22 ოქტომბერი: სტუდენტური საერთაშორისო არქიტექტურული ვორქშოფი თემაზე: ,,ისტორიული განაშენიანების რეკონსტრუქცია – რევიტალიზაცია ტურიზმის მიმართებაში“ ქ. სტამბულში**

მონაწილე მხარეები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სტამბულის მიმარ სინანის ნატიფი ხელოვნების უნივერსიტეტი





















**2. 2010 წლის 20-28 სექტემბერი სტუდენტური საერთაშორისო არქიტექტურული ვორქშოფი თემაზე: ,,ისტორიული განაშენიანების ქალაქგეგმარებითი და მოცულობითი განვითარების მიმართულებები თანამედროვე ქალაქში“ - “Reconstruction-Revitalization of Historic Districts Subject to Tourist Routes (The routes will be developed according to the EU Program “Dumas’ Cultural Routes In Caucasus and The Wine Route”. )**

( ქ.თბილისში სამხატვრო აკადემიის ბაზაზე.) მონაწილე მხარეები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ.სტამბულის მიმარ სინანის ნატიფი ხელოვნების ინსტიტუტიდან, სასომხეთის არქიტექტურის და კონსტრუქციების უნივერსიტეტი, თბილისის ა. ქუტათელაძის სახ. სამხატვრო აკადემია.










ავტორები: თამარ ცანავა, ლევან მატიასვილი, ეგე უსალი, კუბრა აივსილარი, გიუნოს იეგენი, (ხელმძღვანელი ნინო იმნაძე)

„თბილისის ისტორიული უბნის რეკონსტრუქცია – რევიტალიზაცია“ 2010 წ.

**3.2011 წლის 24-28 ოქრომბერი საერთაშორისო ვორკშოპი თემაზე: „ქ. თბილისის ისტორიული ცენტრის რეკონსტრუქცია-რენოვაცია და რეაბილიტაცია – ქ. თბილისის ისტორიული ბირთვის, ბარათაშვილის ქუჩასა და მშრალ ხიდს შორის მოქცეული ტერიტორიების სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო და სარენოვაციო საპროექტო წინადადების შემუშავება.“.** ვორკშოპის ორგანიზატორები და მონაწილე მხარეები: ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური, განვითარების ფონდი, ა.ქუთათელაძის სამხატვრო აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეველოპერული კომპანია NDC (საქართველო), არქიტექტურული ატელიე KASUA (ჩეხეთი), ჩეხეთის და საქართველოს არქიტექტორთა კავშირები.



















**4.2013 წლის 20-23 მაისს ბულგარეთის ქ. ვარნის თავისუფალი უნივერსიტეტი; მე-6 ინტერნაციონალური პლენერი/სემინარი: ,,ინოვაციური დიზაინი და არქიტექტურული სწავლება“.** სემინარი. სემინარზე წარმოდგენილი იყო ერთი პროექტის: ,,მელია ცენტრი“-ს ორი კონცეფცია, ხელმძღვანელები: ნინო იმნაძე, შოთა ბოსტანაშვილი და ვასილ ქობულია. მოხსენება: ,,სტუდია ,,პოეტიკა არქიტექტურაში“.











**5.საერთაშორისო სტუდენტური ვორქშოფი: „Palazzo in the Architecture of Florenc"** რამუოლდო დელ ბიანკოს ფონდის მიერ ორგანიზებული 02/03/2014 – 9/03/2014წ.




















**6.საზაფხულო სკოლა. საერთაშორისო პროექტი თემაზე – სეისმომედეგობის საკითხები ქალაქის ისტორიული და თანამედროვე განაშენიანების არქიტექტურაში;** ქ.ბათუმი, საქართველო; 15/09/11 – 27/09/2011







ადგილობრივი პროექტები – კონკურსები

**კონკურსი: „ხატვის სტუდიის ინტერიერის დიზაინის პროექტი“** 06/03/2014

2014 წლის 3 ივნისს 602 დეპარტამენტმა გამოაცხადა „ხატვის სტუდიის ინტერიერის დიზაინის პროექტის" კონკურსი, რომელშიც პირველი ადგილი მიენიჭა IV კურსის სტუდენტს ნ. ჭანტურიას, ხოლო მეორე ადგილი განაწილდა IV კურსელ ნ. ბანეთიშვილსა და გ. მაისურაძეს შორის. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და ფულადი ჯილდოები. ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სამახსოვრო საჩუქრებით.



**კონკურსი: „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ჰოლის ინტერიერი"** 17/10/15

2015 წლის 17 იანვარს 11 საათზე ჩატარდა სტუდენტთა ვორქ-შოპი (კლაუზურა) თემაზე „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ჰოლის ინტერიერი".

განხილვის შედეგად, კლაუზურის პირობების შესაბამისად, გამოვლინდა სამი გამარჯვებული: 1 ადგილი – ნიკა სამხარაძე (200 ლარი)

2 ადგილი – გიორგი სისაური (100 ლარი)

3 ადგილი – გვანცა ცქიფურიშვილი (50 ლარი).





**კონკურსი: „ყველაფერი გარდა ჩვეულებრივისა"** 20/06/2015



ა.წ.20 ივნისს გაიმართა კომპანია „კარესა" და სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული კონკურსის:

,,ყველაფერი გარდა ჩვეულებრივისა“ ( Everything Except The Ordinary) ფინალური ტური.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ სტუ-სა და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები. ფინალურ ტურზე წარმოდგენილი იყო ათი საუკეთესო ესკიზური პროექტის დასრულებული გრაფიკული ვერსიები და მათი პრეზენტაციები.



ფინალურ ტურის შესაფასებლად ჟიურის გარდა მუშაობდა სტუდენტური ჟიურიც. გამოვლინდა გამარჯვებული ნამუშევრები. **პირველი ადგილი** მიენიჭა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტის **ელენე მაჩაიძის** ნამუშევარს, **მეორე ადგილი** სტუდენტური ჟიურის გადაწყვეტილებით ამავე ფაკულტეტის სტუდენტის **გვანცა ცქიფურიშვილის** პროექტმა დაიკავა.

გამარჯვებულები კომპანია ,,კარემ“ დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა, სერთიფიკატები გადაეცათ კონკურსის ფინალში გასულ ყველა სტუდენტს.









## ფაკულტეტის სტუდენტთა მიღწევები საერთაშორისო დათვალიერება-კონკურსებში

**არქიტექტურული სკოლების სადიპლომო პროექტების XXIII-ე საეთაშორისო კონკურსი ქ. ბაქოში** 18/10/14

2014 წლის 11-18 ოქტომბერს ქ. ბაქოში ჩატარებულ სადიპლომო ნამუშევართა საერთაშორისო კონკურსში ჩვენი მაგისტრების წარმატებები:



შვილი

რუაშვილს,

ჯოხაძეს,

რუსუდან აბზიანიძეს.

**ადგილობრივი კონკურსი სტუდენტების წახალისების მიზნით**

**,,არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის" ინტერიერის მოდულის სტუდენტთა საკურსო პროექტების გამოფენები:** **17/01/2015, 08.12.2015, 07.03.2016, 24.13.2017**





8. 2015 წლის შემოდგომაზე ,,თბილისის განვითარების ფონდის", გერმანული ფირმა ,,Peter moenning"-ის და თბილისის მერიის მხარდაჭერით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური კონკურსი - ,,მომავალი თბილისი დღეს– 2015". 19 ნოემბერს თბილისის საკრებულოში შედგა დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც ნომინაციაში – ,,საუკეთესო ურბანული დაგეგმარება" გაიმარჯვა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის სწავლების მე-3 წლის სტუდენტმა ნონა ითაშვილმა. მას კონკურსზე წარმოდგენილიჰქონდა პროექტი ,,ხელოვნების ცენტრი-ყველასთვის", მუხიანის რადიო ქარხნის ტერიტორიაზე.

**საერთაშორისო ვორქშოფები**

**2015 წლის 17 ნოემბერს** არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტზე N 510 აუდიტორიაში ჩატარდა ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორის, ინგლისელი ლანდშაფტის არქიტექტორის საიმონ ბელის (Simon Bell) საჯარო ლექცია ლანდშაფტური არქიტექტურის თემაზე.

ლექციის შემდეგ ჩატარდა ვორქშოფი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მიმდინარე შუალედურ შეფასებებში წარმატებულმა III-IV სასწავლო წლის სტუდენტებმა.

საუკეთესო ნამუშევრები დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომებით, ხოლო მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

8.2017 წლის 21 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შეხვედრა სოფიის არქიტექტურის, სამოქალაქო ინჟინერიის და გეოდეზიის /UACEG/ უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორთან არქიტექტორ ბისსერ კოზლევთან. მან სტუდენტებს შესთავაზა მონაწილეობის მიღება ქ. სოფიაში გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში: **,,მიტოვებული ქარხნის**

**რეაბილიტაცია – რეკონსტრუქციის“ პროექტზე.** კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს II, III, და IV კურსის სტუდენტებმა. საკონკურსო პროექტზე მუსაობა უნდა დასრულდეს ამ წლის 25 მაისს. პროექტზე მუსაობის პროცესში სტუდენტებმა შექმნეს სერია კონცეპტუალური ესკიზური პროექტები.





9.2017 წლის 11 აპრილს 403–C აუდიტორიაში შედგა გერმანელი არქიტექტორის ფრიდრიხ კულმანის მიერ ორგანიზებული ვორქშოპის შედეგების განხილვა. სტუ – ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები თემაზე: **„ცვალებადი ურბანული ლანდშაფტის დინამიკის შესწავლა“.**





2017 წლის 11 აპრილს გერმანელი არქიტექტორის ფრიდრიხ კულმანის ხემძღვანელობით არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა ვორქშოფი თემაზე: „ცვალებადი ურბანული ლანდშაფტის დინამიკის შესწავლა“. ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებმა: ანი გიგანი, ალექსანდრე გაჩეჩილაძე, ლევან ქართველიშვილი, გივი თოფურია, ნინო გარდავა, ნინო ლომიძე, ნიკო გურჯიევი, ანდრო ასათიანი, ანი წიქორიძე, ანეტა კიკნაძე. 2017 წლის 4 ივლისს სტუდენტებს გადაეცათ სეთიფიკატები ვორქშოფში მონაწილეობისთვის.



**ადგილობრივი ვორქშოფი**

10. 2017 წლის 27 აპრილს საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა სემინარი და ვორქშოფი თემაზე: **,,მდგრადი ურბანული განვითარების უზრუნველყოფა“.**

სემინარს და ვორქშოფს გაუძღვა არქიტექტორი გიორგი გაბუნია.

ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებმა. სემინარის მსვლელობისას გაიმართა დისკუსია ქალაქის განვითარების თანამედროვე მოდელებზე და პარადიგმებზე.







12. 2017 წელს გამოცხადდა კონკურსი **“სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარდა კონკურსი "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად". კონკურსს აფინანსებდა ევროკავშირის. ორი თვის განმავლობაში კონკურსანტებს ევალებოდათ სოციალური საწარმო "არაბული არტჰაუსის", იგივე "არაბულების ხელოვნების სახლის" განვითარების გეგმების დასახვა და მასზე მუშაობა. ეს არის ტრადიციული რეწვის სახელოსნო, რომელიც მდებარეობს ხევსურეთში, სოფელ კორშაში.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 40 გუნდმა. მათგან 4 გუნდი მოხვდა ფინალში. მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის გუნდი ,,საიკო“ (ჯგ. 6502; სალომე წიქვაძე, ანა გობეჯიშვილი, გურამ ნიაური, მარიამ წერეთელი) საბოლოოდ გუნდმა ,,საიკომ“ მოიპოვა საპრიზო მეორე ადგილი და გადეცათ სერთიფიკატები.










კონკურსის ფარგლებში, სხვა მრავალ აქტივობასთან ერთად, გუნდმა ,,საიკო" მოაწყო 8 გამოფენა-გაყიდვა. პარალელურად, გუნდი მუშაობდა ახალ პროდუქციაზე და საწარმოსთან ერთად, საკუთარი დიზაინით შექმნეს სამკაულების ახალი ხაზი ხევსურული ორნამენტების ნაქარგობებით.












































ხევსურული ეროვნული ტანსაცმლიდან აღებული ორნამენტებით მონაწილეებმა შექმნეს მინის საყურეები და ბეჭდები. ასევე საკუთარი დიზაინით დაამზადეს კატალოგი.

საბოლოოდ, სოფელ კორშას შესასვლელთან გუნდის წევრებმა ააშენეს პატარა ხევსურული კოშკი, რომელიც მოხატეს ტრადიციული ორნამენტებით.

**საერთაშორისო ვორქშოფი თემაზე: „მდინარე კავშირი თუ ბარიერი“**

2017 წლის 13 ივნისს ტექნოპარკში ესპანელი არქიტექტორის ვინსენტე გუარტის ხელმძღვანელობით გაიმართა ვორქშოფი თემაზე: “მდინარე კავშირი თუ ბარიერი“; ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო სამი უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ილიას უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სტუ – ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრებმა ვერა გამიაშვილი, მარიამ ახალაია, ნინო მუჩიასვილი, მარიამ გვაზავა, ანი წიქორიძე, გივი გორდულაძე, სალომე სვანაძე, თამარ კვერნაძე, ნათია ჭეიშვილი, ბაჩანა ჩეხერია, მარიამ შაიშმელაშვილი და მაგისტრამტებმა: შალვა მახარაძე, ოთარ მჭედლიშვილი. აღნიშნული ღონისძიება ორგანიზებული იყო ურბანისტიკის უმაღლესი სკოლის და რედ ფონდის თანადგომით და სტუ – ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მხარდაჭერით.

**13. 2017 წლის 12 ივნისს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ჩატარდა ესპანელი არქიტექტორის ვისენტე გუაიარტის ლექცია თემაზე: „მომავლის ქალაქების პროტოტიპირება“;**

ვინსენტე გუარტი არის კატალონიის მოწინავე არქიტექტურის ინსტიტუტის (IAAC) თანადამფუძნებელი, საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა „City and Technologies: Prototyping Futer Cities of NSE Graduate School of Urbanism – ის აკადემიური დოქტორი; 2016 წლიდან დღემდე შუხოვის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 2011 – 2015 წლებში ბარსელონის მთავარი არქიტექტორი; ამავე პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა ქალაქის სტრატეგიული განვითარების ხედვის შემუშავების კომისიას, რომლის ფარგლებშიც განახორციელა ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი.

ლექციაზე ვისენტე გუაიარტიმ ისაუბრა ურბანული რეგენერაციის იმ ძირითად პროექტებზე, რომელიც განხორციელდა 2011 – 2015 წლებში ბარსელონაში. ბატონი გუაიარტი ერთერთი პირველია, ვინც ქალაქის ახალი მოდელის შექმნისას ერთმანეთს დაუკავშირა არქიტექტურა, ბუნება და ტექნოლოგიები. ტექნოლოგიური ინოვაციები უზარმაზარ გავლენას ახდენენ ურბანულ განვითარებაზე. იცვლება ქალაქის ექსტერიერი, სოციალური გარემო, ადამიანთა შორის კომუნიკაციის გზები, მათი გადაადგილების საშუალებები და აგრეთვე ქალაქის მართვის სისტემა. ლექციის მსვლელობისას არქიტექტორი შეეცადა პასუხი გაეცა კითხვებზე: როგორ შეიცვლება ჩვენი ცხოვრების წესი? ქალაქის დაგეგმარება და მშენებლობა? როგორ და როდის მოხდება ეს ცვლილებები.

2017 წლის 13 ივნისს ტექნოპარკში ვინსენტე გუარტის ხელმძღვანელობით გაიმართა ვორქშოფი თემაზე:“მდინარე კავშირი თუ ბარიერი“; ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო სამი უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ილიას უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სტუ – ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრებმა ვერა გამიაშვილი, მარიამ ახალაია, ნინო მუჩიასვილი, მარიამ გვაზავა, ანი წიქორიძე, გივი გორდულაძე, სალომე სვანაძე, თამარ კვერნაძე, ნათია ჭეიშვილი, ბაჩანა ჩეხერია, მარიამ შაიშმელაშვილი და მაგისტრამტებმა: შალვა მახარაძე, ოთარ მჭედლიშვილი.

ვორქშოფს წინ უძღვოდა ღია სემინარი – „ქალაქებში მდინარეთა რეგენერაციის საერთაშორისო პრაქტიკა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვინსენტე გუარტიმ, რომელმაც ისაუბრა საერთაშორისო გამოცდილებაზე; არქიტექტორმა ელისო სულაკაურმა ისაუბრა 2014 წელს შესრულებულ პროექტზე: თბილისში, მდინარე მტკვრის როლი ურბანულ სივრცეში. მოსკოველმა არქიტექტორმა ნადია ხორტიმ წარმოადგინა საკონკურსო პროექტი „მდინარე მოსკოვი“ს გამარჯვებული არქიტექტურული ჯგუფის „მეგანომის“ საპროექტო წინადადება.

ვორქშოფის მთავარი იდეა იყო მდინარე მტკვრის გასწვრ საზოგადოებრივი სივრცეების გამოვლენა და დაპროექტება; ვორქშოფი შედგებოდა სამი ნაწილისგან. თვითოეულ ნაწილში სტუდენტების მიერ შესარულდა კონკრეტული დავალებები. 1. ურბანული პარადიგმები. ამ ნაწილში სტუდენტებმა მოიძიეს მათთვის მისაღები მსოფლიო მაგალითები, თბილისის მსგავსი ქალაქები და პროექტები, რომლის საფუძველზე მათ ჩამოუყალიბდათ კონცეფცია. 2. კონცეფციის დამუშავება. 3. საკუთარი პროექტის შექმნა, რომელიც გულისხმობდა მდინარე მტკვრის გასწვრივ კულტურულ – დასასვენებელი სივრცის, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობებისთვის კონკრეტული ადგილების მოძიებას და დასაბუთებას.

აღნიშნული ღონისძიება ორგანიზებული იყო ურბანისტიკის უმაღლესი სკოლის და რედ ფონდის თანადგომით.









## სტუდენტური არქიტექტურული კონკურსი: 2017 წლის საუკეთესო სადიპლომო ნამუშევარი

2017 წლის 18 დეკემბერს არქიტექტორთა კავშირში შედგა წლის საუკეთესო სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების კონკურსი და გამარჯვებულების დაჯილდოება. კონკურსი ტარდება ყოველწლიურად არქიტექტურის დღის ფარგლებში.

კონკურსის ორგანიზატორი არის საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და თანაორგანიზატორები საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი არქიტექტურული სკოლები.

კონკურსი ტარდება შემდეგ ნომინაციებში:

ქალაქთმშენებლობა;

ლანდსაფტის არქიტექტურა;

მოცულობითი არქიტექტურა (არჩილ და ქეთევან ქურდიანების სახელობის პრემია);

რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია;
ინტერიერი და დიზაინი;
გარემოს დიზაინი;

კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორი უმაღლესი სასწავლებლის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტებმა.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა კონკურსზე წარადგინა 3 სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევარი ორ ნომინაციაში: მოცულობითი არქიტექტურა და რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია.
,,მოცულობითი არქიტექტურა“-ის ნომინაციაში საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევრისთვის დიპლომი და არჩილ და ქეთევან ქურდიანების სახელობის პრემია მიენიჭა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრს ივანე ებრალიძეს პროექტში ,,ახალი სკოლა ავლაბარში 480 მოსწავლეზე“ ხელმძღვანელი სტუ - ს პროფესორი მედეია მელქაძე.








ამავე ნომინაციაში მონაწილის დიპლომი გადაეცა გიორგი არევაძეს, საცხოვრებელი ხელმძღვანელი მ. მელქაძე (სტუ.)

ნომინაცია რესტავრაცია, რეგენერაცია, რეკონსტრუქცია საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევრისთვის დიპლომი გადეცა დავით უგრეხელიძეს. თემა: ‘ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია“; ხელმძღვანელი გიული გეგელია (სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი)






 

დაჯილდოებაზე გამარჯვებული სტუდენტები და მათი ხელმძღვანელები

**2018 წლის ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტების მიღწევები:**
**სტუდენტთა გამარჯვება სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კკონკურსებში:**

2018 წლის 1 აპრილს საქართველოს პედაგოგ–ქორეოგრაფთა ასოციაციის (Georgian Teacher-choreographer Association) მიერ ჩატარდა **თბილისის V საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტიველი–კონკურსი (Vakhtang Chabukiani Tbilisi V International Choreographic Festival-Competition).** ფესტივალისთვის გაიმართა ტრადიციული კონკურსი პლაკატზე, ბანერზე და მოსაწვევზე, რომელშიც ზედიზედ ხუთი წელი მონაწილეობას ღებულობენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის ავთანდილ დიღმელაშვილის მე–2 კურსის სტუდენტები. კონკურსში გაიმარჯვა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე–2 კურსის სტუდენტმა ელენე ბერძენიშვილმა. მისი შესრულებული პლაკატი პირველი ადგილით აღინიშნა და დაიბეჭდა ფესტივალისთვის.

2018 წლის 15, 16, 17, 18 ნოემბერს, ყაზახეთის არქიტექტურულ–სამშენებლო აკადემიის ორგანიზებით მოლდავეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში (ქ.კიშინოვი) გაიმართა ევრაზიის ყოველწლიური **VIII არქიტექტურულ–სამშენებლო და დიზაინის საერთაშორისო ფესტივალი,** რომელშიც მონაწილეობას იღებს 17–ზე მეტი ქვეყანა. მათ შორის იტალია, ლიტვა, ლატვია, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, რუმინეთი, სერბეთი, პოლონეთი და სხვა.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ევრაზიის არქიტექტურული და დიზაინერული სკოლების დამასრულებელი სამაგისტრო ნაშრომების დათვალიერება–კონკურსი. სხვადასხვა ნომინაციებში წარმოდგენილი იყო 900–ზე მეტი პროექტი. არქიტექტურის,

ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან კონკურსში მონაწილეობა მიიღო 6–მა სამაგისტრო დამასრულებელმა ნამუშევარმა ნომინაცია ,,არქიტექტურა“. სულ ამ ნომინაციაში საკონკურსოდ წარდგენილი იყო 198 პროექტი. მე–2 და მე–3 ადგილი წილად ხვდათ ჩვენს მაგისტრანტებს, ხოლო დანარჩენებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

ეკა ბარბაქაძეს სამაგოსტრო ნაშრომი თემაზე: ,, ეკოლოგიის ინსტიტუტი 500 სტუდენტზე ქ. რუსთავში“; ხელმძღვანელი მედეა მელქაძე გადეცა მეორე ხარისხის დიპლომი;







თამარ ქსოვრელი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: ,, ღვინის სამყარო რაჭაში“ ხელმძღვანელი ნინო იმნაძე გადაეცა მე–3 ხარისხის დიპლომი.






ვერიკო ბაბუციძე სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: არქიტექტურის სკოლა 820 სტუდენტზე ხელმძღვანელი გიული გეგლია გადაეცა სერთიფიკატი







თალიკო ონიანი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ფსიქიატრიული კლინიკა და კვლევითი ცენტრი“ ხელმძღვანელი დავით ბოსტანაშვილი გადაეცა სერთიფიკატი;







დავით კომახიძე სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: შ. რუსთაველის სახელობის აეროპორტი ქ. თბილისში ხელმძღვანელი ნინო იმნაძე გადაეცა სერთიფიკატი;







მეგი სომხიშვილი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ქ. თბილისში“ ხელმძღვანელი გია ნადირაძე გადაეცა სერთიფიკატი;






ჩვენი ინსტიტუტიდან ჟიურიში სამუშაოდ მიწვეული იყო პედაგოგი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი ბესარიონ ტატიშვილი.

ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები ტრადიციულად მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის და ჟურნალ ,,სტილის" მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ საერთაშორის კონკურსში ,,არქიტექტურული პრემია". კონკურსის მიზანია წლის საუკეთესო პროექტის გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციებში.

***სასწავლო პროექტი „გორის მიწათსარგებლობის გენგეგმა"***



2018 წლის 11 ივნისს "სითი ინსტიტუტი საქართველომ" და მისმა ხელმძღვანელმა მამუკა სალუქვაძემ სერტიფიკატები გადასცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს გორის მიწათსარგებლობის გენგეგმის წინასაპროექტო სამუშაოების წარმატებით შესრულებისთვის.

***2017-2018 სასწავლო წელს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების აქტივობა რეალურ საპროექტო-გეგმარებით საქმიანობაში.***

ასოცირებული პროფესორის ირაკლი მურღულიას და ასისტენტ პროფესორი ნინო გვენცაძის ხელმძღვანელობით და მათი ინიციატივით ბაკალავრიატის 65211ჯგუფის სტუდენტები სასწავლო პროცესში მუშაობდენე რეალურ ურბანულ პროექტებზე ერთობლივად არქიტექტურულ ბიუროებთან.

- **guram kamlaZe – Sps "arqiteqturuli biuro"**

- "პარალელური განვითარება" - მთაწმინდის ერთერთი მიკროუბნის განვითარების პროექტი
- გ.ჩუბინაშვილის ქუჩის მიმდებარე ოთხი კვარტლის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- კურტი ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა
- ისანში (ავტონაწილების ბაზრობასთან) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.
- ბაკურიანში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.
- მრავალბინიან საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა მექანიზაციის ქუჩაზე.
- დიღომიში, თბილისი მოლის მიმდებარედ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის 3 განაშენიანების რეგულირების გეგმა.

**ოთარ ხვედელიძე – Sps "ა–არქიტექტურა"**

- მცხეთაში, სამრეწველო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- მაგნიკაში, სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- ურეკში, სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- ნავდარაათკარში, საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- თბილისში, ლილოში, საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა

**ვერონიკა ლომინაძე – Sps "დეფანი ად"**

- კერძო სახლის პროექტი (მიმდინარე) ქ. თბილისში, ,,ბაგების სატყეო უბანში"
- ოფისის პროექტი (მიმდინარე), ქ. თბილისში წერეთელის გამზირზე, გამოფენის ტერიტორია.
- სპორტული სკოლის პროექტი (მიმდინარე), ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე.

**გიორგი ბეკურაშვილი**

**Sps "არქი დი–სი"**

- ალავერდის ინფრასტრუქტურის პროექტი

**Sps "არტ–სტუდიო"**

- კოლმეურნეობის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი

**გიორგი სეხნიაიძე – Sps "სტუდია 21"**

- ახმეტის მუნიციპალიტეტის და თუშეთის სივრცითი მოწყობის გეგმა

**ჯგუფი 2017 2.2, მაგისტრატურა**

- **givi kaxabriSvili _ Sps "arqiteqturuli biuro"**
- ქ. თბილისში, გლდანის რაონში, მუხიანის საუბნო საზღვრებში საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა (დასრულებული)
- ქ.თბილისში, დასახლება დიდ დიღომში, ველოტრეკის მიმდებარედ საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა (დასრულებლი)
- ქ.თბილისში, სოფელ თხინვალაში დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა. (დასრულებული)
- გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, სოფელ გუდაურში, სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ( დასრულებული)
- ქ.თბილისში, სექტორ–ისანში, ქუჩა ქ.წამებულის N71–ის მიმდებარედ საზოგადოებრივი (კომერციული) და საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ( მიმდინარე)
- კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა ( მიმდინარე )

**ჯგუფი 2016.6 მაგისტრატურა**

- **გიორგი მაღალდაძე _ Sps "ურბანიკა"**
- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე – განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- საცხოვრებელი ფუნქციის კომპლექსი თბილისში, თავდადებულის ქუჩაზე – განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე – განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, დიდი ლილოს დასახლებაში. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ლილოს დასახლებაში. – განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, აეროპორტის დასახლებაში. – განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- ქ. ფოთში, მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- ბაკურიანისა და დიდი მიტარბის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი – გის–ის სპეციალისტი, არქიტექტორი

**ქ. ბათუმის ცენტრის წინასაპროექტო კვლევას და ურბანული რეკონსტრუქციის პროექტს.**

2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საკურსო პროექტის ფარგლებში სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზიანის ფაკულტეტის 65211 ჯგუფი ამუშავებს ბათუმის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტს. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტთან და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურის სამსახურთან თანამშრომლობით პირველ სტადიაზე დამუშავებულ იქნა წინასაპროექტო კვლევა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად მოიცავს დოკუმენტურ და ფიზიკური გარემოს კვლევებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.

წინასაპროექტო კვლევის ფარგლებში 13-15 აპრილს განხორციელდა საველე სამუშაოები. 4 ჯგუფად განაწილებულ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს შეუერთდნენ ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და ერთობლივი ძალებით განხორციელდა საპროექტო არეალში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა სართულიანობის, სიმაღლის, ფუნქციის, სტატუსისა და მდგრადობის მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში 14 აპრილს გაიმართა ვორქშოფი და პრეზენტაციები, რომელშიაც ახალგაზრდობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისელმა და ბათუმელმა მოქმედმა არქიტექტორებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და ოფიციოზის წარმომადგენლებმა.

სამ დღიანმა საველე სამუშაოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საპროექტო ტერიტორიის პრობლემებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში, რაც აისახა პირველი შუალედური გამოცდის შედეგებზე.

საბოლოო საკურსო პროექტის ჩაბარებამდე დაგეგმილია კიდევ ერთი ვიზიტი ბათუმში, სადაც დასაზუსტებელ საუშაოებთან ერთად განხორციელდება გაწეული სამუშაოების პრეზენტაცია ადგილობრივ პროფესიულ წრეებში და მერიის წარმომადგენლებთან.

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ირაკლი მურღულია.

***სტუდენტური კონკურსი: „საუკეთესო ინტერიერის პროექტი“***



2018 წლის 29 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო სტუდენტთა დაჯილდოება. ინტერიერის და დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თინათინ ჩიგოგიძის ინიციატივით ჩატარდა სტუდენტთა კონკურსი: ,,საუკეთესო ინტერიერის პროექტი“. კონკურსის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები II კურსის ბაკალავრები: გიორგი ჩაბალუხა, ელენე ბერძენიშვილი, ნუცა კიკნაველიძე, ჰაროლდ საакიანი, თეო გეგეშიძე, დაჩი მთიულიშვილი. სტუდენტებს საზეიმო ვითარებაში გადეცათ სიგელები.

**გამოფენა–კონკურსი ,,არქიტექტურული კომპოზიცია“**

2018 წლის 12 აპრილს გალერეა ,,ვანდა“ გაიხსნება სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტთა საკურსო ნამუშევრების გამოფენა.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭონქაძის 14 გალერეა ,,ვანდა“



“არქიტექტურული კომპოზიცია“

2018 წლის 12 აპრილს გალერეა ,,ვანდაში“ მოეწყო სტუ–ს არქიტექტურის, ნისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტების საკურსო ევრების გამოფენა – კონკურსი ,,არქიტექტურულ კომპოზიციაში“. ,,არქიტექტურული ოზიციის“ მიზანია სტუდენტს განუვითაროს ვიზუალურ–სივრცითი წარმოდგენის უნარი, იავის მხრივ, არქიტექტურული ობიექტის შექმნის საფუძველია.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 45 სტუდენტმა. თითოეულ სტუდენტს წარმოდგენილი ჰქონდა ოთხი ნამუშევარი: შავ–თეთრი და ფერადი კომპოზიციები, ფორმალისტური ძიებები ორგანზომილებიან სიბრტყეში შექმნილი მარტივი



გეომეტრიული ფიგურების წრის, კვადრატის, სამკუთხედის საშუალებით და სივრცული კომპოზიციები. ამავე დღეს მოხდა გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოება. ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი.

გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები ვანდა მუჯირი, თამარ ჭანტურია და მარინა მაისურაძე.

 

***გამოფენა-კონკურსი „ასოციაციები“***

2018 წლის 16 აპრილს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მოეწყო ,,არქიტექტურის თეორიის“ მიმართულების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენის გახსნა და დაჯილდოება. კურსი ,,არქიტექტურული დისკურსი მოდერნიზმის ირგვლივ“ წამყვანი პროფესორი მაია დავითაია








***პარტნიორობა მეწარმეობისთვის მწვანე მშენებლობის სექტორში***

2018 წლის 14 და 16 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მდგრადი განვითარების ლაბორატორიაში (აუდიტორია 403 ც) 12 საათზე შედგა ლექცია, რომელიც წარმოადგენს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო ტრენინგ კურსის ,,მწვანე (მდგრადი) მშენებლობაში". კურსს გაუძღვა ზაალ ხელაძე, რომლის დახმარებითაც არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შეიქმნა და ფუნქციონირებს აღნიშნული ლაბორატორია. სასწავლო კურსს დაესწრნენ ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები და სტუდენტები ასევე დაინტერესებული პირები.

კურსში განიხილავს მწვანე მშენებლობის იდეოლოგიას, არსებული შენობებისათვის მწვანე სტატუსის მინიჭებას და შენობათა მენეჯმენტის მწვანე მეთოდილოგიებს, ინტეგრირებული დიზაინი სასწავლო ფორმატში 5 პრეზენტაციად. თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იყო ორი ვიდეო რგოლი (სულ: 120 სლაიდი). ტრეინინგ კურსი გაწერილია 4 აკადემიური საათისათვის. 3 აკადემიური საათი ჩატარდა 14 მარტს და ერთი საათი 16 მარტს.

„კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსი „მწვანე (მდგრად) მშენებლობაში" განიხილება როგორც პროდუქტი პროფესიის მაძიებელთა განათლებისთვის. კურსი დაეხმარება სამშენებლო სექტორში მოღვაწე გადაწყვეტილების მიმღებ პროფესიონალებს (არქიტექტორები, ინჟინრები, დეველოპერები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მოღვაწე ჩინოვნიკები და სხვ.) და საკითხით დაინტერესებულ მსურველებს მწვანე მშენებლობის საფუძვლების დაუფლებაში.



ასეთი სასწავლო მოდულის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია ახალგაზრდა და ზრდასრულ ადამიანთა დასაქმების პოტენციალის გაზრდის სურვილით. მის მიზანს წარმოადგენს პროფესიონალი ტრეინერების მომზადება შემდგომში სხვაპიროვნებების გადასამზადებლად და მათთვის მწვანე მშენებლობის უნარ- ჩვევების გასაზიარებლად.

მას მერე, რაც საქართველოს მოსახლეობამ განუსაზღვრა საკუთარ მთავრობას ამოცანა გაერთიანებულიყო საერთო ევროპულ ოჯახში, მწვანე ცხოვრების წესი მარკეტინგული კომპონენტიდან გადადის საკანონმდებლო სფეროში და ხდებამოსახლეობის ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ძირითადი ნორმა. ასეთი მიმართულებით განვითარება უკავშირდება ახალი სპეციალობების წარმოშობას, როგორიცაა: მწვანე ზედამხედველი, ენერგოაუდიტი, ნარჩენების მართვის ინჟინერიდა სხვ.. შენობების ძირითადი მახასიათებელი კომპონენტი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ხარჯთეფექტურობასთან, შენობის ხარჯებს კი წარმოადგენს დანახარჯები ენერგიაზე, ამიტომ განმსაზრვრელი მწვანე მშენებლობაში,გარემოსდაცვით კომპონენტებთან ერთად, გახლავთ ენერგოეფექტური ღონისძიებები. სასწავლო კურსში ზედაპირზე გამოტანილია ენერგოეფექტური ღონისძიებების და მასთან ერთად განახლებადი ენერგიების გენერატორებისმნიშვნელობა.

ლექციაზე განხილული იყო მწვანე ბიზნესის განვითარების ეტაპები საქართველოში, პირველი პროეტები შესრულებული ინტეგრირებული დიზაინით. ხის კარკასული მშენებლობის განვითარება და პირველი კერძო პროექტები. პირველი მაშტაბური ინიციატივა იყო სწორედ აღნიშნული ლაბორატორიის დაარსება და განხორციელება, რომელიც 9 წლის წინ შექმნა ზაალ ხელაძემ შპს ,,ვუდ სერვისის‘‘ დახმარებით და ასევე სათაო ოფისის შენობა. დონორების მიერ მხარდაჭერილი მდგრადი პროექტები საქართველოში, როგორც ახალ მშენებლობაში, ასევე ძველის რეაბილიტაცია, მწვანე მშენებლობის ხელშემწყობი პირობები, ბრაუნფილდების გავარგისიანება და განაშენიანებისთვის დაბრუნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბრაუნფილდიდან გრინფილდისკენ; განხილული იყო ასევე პირველი მასშტაბური ინიციატივა, მდგრადი საცხოვრისის დაარსება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ბრაუნფილდის მართვის პირველი წარმატებული მაგალითი თბილისში, 2016 წელს დაპროექტებული და აშენებული №95 საბავშვო ბაგა–ბაღი თბილისში, ენერგოცენტრალი თელავში, რაბათის ციხის მინათების სისტემის ენერგოეფექტური რეაბილიტაცია. ლექციაზე წარმოდგენილი იყო დაგეგმილი პროექტები, რომლებიც ახლო მომავალში განხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ლექციის ერთ ერთ საინტერესო ნაწილს წარმოადგენდა თემა: ტრადიციებიდან ინოვაციებისკენ, სადაც განხილული იყო ყველა ის ეკოლოგიური გადაწყვეტები, რომელის საფუძველზე განვითარდა თანამედროვე ტექნოლოგიები. დასაქმების პოტენციალი და მომავლის პერსპექტივები და სხვა.

ბოლოს ზაალ ხელაძემ სტუდენტებს შესთავაზე მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული სასწავლო კურსის პოპულარიზაციაში საქართველოს რეგიონებში გასვლითი ღია ლექციების მოწყობით.

### საერთაშორისო ტრენინგი

## “Paper Architecture and Parametric Design” – ,,ქაღალდის არქიტექტურა და პარამეტრული დიზაინი‘‘

## Erasmus+ - სალექციო კურსი, სემინარი და ვორქშოფი არქიტექტურის მიმართულებით

2018 წლის 19–23 მარტს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, ეწვივნენ ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის (Faculty of Architecture/University of Lisbon – FA/Ulisboa ) (პორტუგალია) პროფესორები ანტონიო კასტელბრანკო (Antonio Castelbranco) და პედრო მიგელ გომეშ ხანუარიო (Pedro Miguel Gomes Januario).

პორტუგალიელი სტუმრები სტუ-ს სტუმრობდნენ სწავლების მიზნით Erasmus+ მობილობის პროექტის ფარგლებში, რომლის კოორდინატორია ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი.

პროფესორებმა შეხვედრები გამართეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტსა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სადაც შეხვდნენ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. მათ ჩაატარეს ლექციები არქიტექტურის მიმართულებით. ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევოლუციური არქიტექტურა, ურბანისტიკა, ადამიანის ზეგავლენა ბიოსფეროზე, თანამედროვე ურბანისტიკაში არსებული ხარვეზები და სხვ.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე ისაუბრეს მიმდინარე პროექტებსა და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

ასევე, გაიმართა შეხვედრა ერაზმუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელთან, ლიკა ღლონტთან, სადაც განხილული იქნა ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ერთობლივ პროექტებთან დაკავშირებული აქტუალური დეტალები.

მობილობის პროგრამით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფარგლებში, პორტუგალიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს პარლამენტის ბიბლიოთეკა, სადაც ისინი შეხვდნენ მთავრობის წევრებს, არქიტექტურული სკოლის წარმომადგენლებსა და პროფესიულ საზოგადოებას.

2018 წლის 23 მარტს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 403 ც აუდიტორიაში პროფესორმა პედრო მიგელ გომეშ ხანუარიომ (Pedro Miguel Gomes Januario) ჩაატარა სემინარი და ვორქშოფი თემაზე: "Paper Architecture and Parametric Design" - პარამეტრული დიზაინი. სემინარი და ვორქშოფი განკუთნილი იყო ფაკულტეტის პედაგოგეგბისთვის და დოქტორანტებისთვის. პარამეტრული დიზაინი დღესდღეობით ერთ ერთი აქტუალური მიმართულებაა არქიტექტურაში. ეს არის მეთოდი შეიქმნას ტექტონიკური სტრუქტურები, ახალი ფენომენალური გააზრება საზოგადოებრივი სივრცეების ქალაქის სტრყქტურაში, რომლის განხორციელება შესაძლებელია სპეციალური კომპუტერული პროგრამების საშუალებით: Sketchup, Riner da Grasshopper.

ვორქშოფის მიზანი იყო პედაგოგეგბის და დოქტორანტების კვალიფიკაციის ამაღლება პარამეტრულ დიზაინში. ესწრებოდნენ ასოცირებული პროფესორები ნუგზარ ხვედელიანი, გურამ აბულაძე, დავით ბოსტანაშვილი, ნინო ჩაჩავა, ასისტენტ პროფესორი შოთა გელაშვილი, მასწავლებელი გურამ ხოსრუაშვილი, დოქტორანტი ნანა ლეკვეიშვილი, სტუდენტი ირაკლი ფანცხავა.







## *GRAPHISOFT. ARCHICAD - ტრენინგი პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის*

2018 წლის 22 მარტს ევროპის სააქციონერო საზოგადოების გრაფსოფტი – უნგრეთი წარმომადგენლების მიერ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია და ტრენინგი: ARCHICAD 21. ლექცია და მასტერ კლასის მიზანია ტექნიკური ცოდნის პოპულარიზაცია, სასწავლო ცენტრების უზრუნველყოფა პროგრამებით ARCHICAD და თანამედროვე ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში (BIM – Building Information Modeling).







2018 წლის 15 დეკემბერს სასტუმრო ,,ბილტმორში“ გაიმართა **,,არქიტექტურული პრემია 2018“** – ის დაჯილდოვება.




ნომინაცია **,,სტუდენტური პროექტი“** დაჯილდოვდა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტი დავით კომახიძე. კონკურსზე მის მიერ წარდგენილი იყო სამაგისტრო დამასრულებელი ნაშრომი თემაზე: შ. რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ქ. თბილისში“(ხელმძღვანელი ნ. იმნაძე).

**ფაკულტეტზე სისტემატიურად იმართება საერთაშორისო არქიტექტურული ვორქშოფები, რომელსაც უძღვებიან ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პროფესიონალი არქიტექტორები.**

***ვორქშოფი პოლონელ ურბანისტ პიოტრ ლორენსთან ერთად ქ. თელავში***

2018 წლის 18,19,20 იანვარს 19 საათზე, აიიპი ,,რედ ფონდის,, და შპს ,,ატელიე არქიტექტსის,, ინიციატივით და არქიტექტურის ფაკულტეტის ორგანიზებით ქ. თელავში ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაიმართა ვორკშოპი პოლონელ ურბანისტთან პიოტრ ლორენის ხელმძღვანელობით, თემაზე ,,თელავის ცენტრალური მოედანი - საჯარო ინიციატივა,, ვორქშოფს წინ უძღვოდა საინტერესო საჯარო ლექცია ურბანული გამოწვევბი პოლონეთის მაგალითზე, რომელიც გაიმართა საქართველოს მწერალთა

კავშირში. ვორქშოფის მიზანი იყო ქ. თელავის გენერალური გეგმის კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება, მასში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა და პედაგოგებმა.



პროფესორი პიოტრ ლორენსი, ურბანისტია, 2007 წლიდან გდანსკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ურბანული დიზაინის და რეგიონალური დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსი, პოლონური ქალაქების დაგეგმარების საზოგადოების პრეზიდენტი და ქალაქების და რეგიონების გეგმარების, საერთაშორისო საზოგადოების ვიცე–პრეზიდენტი. ამჟამად პროფ. ლორენსი მუშაობს ურბანული რეგენერაციის პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პოლონეთში.





„ვორქშიფი“ მოიცავდა, პირველ რიგში ექსკურსიას თელავის დათვალიერებას, შეხვედრას თელავის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფთან. არქიტექტორებმა სტუდენტებს გაცნეს ქალაქი, მისი რელიეფი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მცირე ქუჩების და ღია საზოგადებრივი სარეკრეაციო სივრცეების თავისებურებები. ძირითადი საპროექტო სამუშაო მიმდინარეობდა თელავის უნივერსიტეტში. სადაც სტუდენტებისგან დაკომპლექტებული 3 ჯგუფი ინდივიდუალურად აყალიბებდა ქალაქის მომავალი განვითარების კონცეპტუალური ხედვას. ბოლოს სტუდენტებმა თავიანთი მოსაზრებები პრეზენტაციის სახით წარადგინეს.

### *საერთაშორისო პროექტის დასრულება თემა:„დიდუბის არეალის კვლევა“*

2017–2018 წელს განხორციელდა ქართულ–ესპანური ერთობლივი პროექტი თემაზე: ქ. თბილისში დიდუბის არეალის კვლევა“. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტები. სტუ – ს არქიტექტურის ფაკულტეტის II კურსის მაგისტრანტებმა:. ვასილ დოლიძე, შალვა მახარაძე და ოთარ მჭედლიშვილმა, ხოლო ავსტრიის მხრიდან სტუდენტების 15 კაციანი ჯგუფი. მათ ხელმძღვანელობდნენ ავსტრიის მხრიდან ურბანული დიზაინის და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარკუს ტომასელი და საქართველოს მხრიდან პროფესორი ნინო იმნაძე და ასოც. პროფესორი ირაკლი მურღულია.

პროექტზე მუშაობა დაიწყო 2017 წლის 7, 8 და 9 ოქტომბერს, თბილისში, რომლის დროსაც ჩატარდა ვორქშოფი და თემატური ლექციები. მოწვეული იყო სიტი ინსტიტუტის დირექტორი არქიტექტორი მამუკა სალუქვაძე, რომელმაც განიხილა თბილისის გენგეგმა. ამის შემდეგ პროექტი გაგრძელდა ავსტრიაში. პროექტის მიმდინარეობის ამსახველი მასალა მოამზადა ავსტრიულმა მხარემ ბეჭვდური სახით.

იხილეთ მიმაგრებული ფაილი http://gtu.ge/Arch/Pdf/publications/TUwien%20-%20Didube.pdf

### *გერმანულ–ქართული საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული პროექტი*



2018 წლის 7 მაისს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ქართულ–გერმანული კომპანიის „ბაზალტ ფაიბერის“ წარმომადგენელი გიორგი გოგოლაძის და ფაკულტეტის დეკანის ნინო იმნაძის ინიციატივით შედგა შეხვედრა ბავარისს

საერთაშორისო არქიტექტურის საბჭოს წევრებსა და ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ ბავარიის არქიტექტურის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი დოქტორი იორგ ჰეილერი, წევრები არქიტექტორები იაკობ ობერპილლერ და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის



ები: გ. სალუქვაძე, ლ.ბერიძე, ნ. ხაბეიშვილი, ი. მურღულია, მ. არათაშვილი.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენს ერთობლივი პროექტის შექმნა რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ფუნქციის მინიჭებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი სივრცეები, ინკლუზიურობა და ინოვაციური მასალები. ამ პროექტში ჩაერთნენ ბავარისს არქიტექტურული საბჭო, ქ. რუსთავის მერია და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტები.

თემა: რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც არის აქტუალური პრობლემა. სტუმრები ეწვიენ ქ. რუსთავის, აღინიშნა, რომ ამ ქალაქს გააჩნია ისეთი ხარისხის ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროებს ფრთხილ განვითარებას. დიდი ქალაქები ასუსტებენ პერიფერიებს, ხდება ახალგაზრდების გადინება პერიფერიიდან. აქედან გამომდინარე საჭიროა პერიფერიას მიენიჭოს ფუნქცია და მოხდეს მისი განვითარება ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, კულტურული ინდიკატორებით და გამოცდილების გაცვლით–გაზიარებით. პატარა ქალაქისთვის მარტივი სტრუქტურის შემუშავება, გამოცდილების გამდიდრება შემოქმედებითი სივრცის და ტექნიკური განათლების გაძლიერება და ინოვაციების გაცნობა, ასეთად გვესახება ქ. რუსთავი.

***პროექტი: ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავის მაგალითზე.***



2018 წლის 23 ივლისს რუსთავში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, ახალი სტუდენტური კონკურსის მოწყობასთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები: ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის წარმომადგენლები, რუსთავის მერი და მერიის თანამშრომლები, გერმანელი და ქართველი ურბანისტები და არქიტექტორები, ქართულ-გერმანული ბიზნესის წარმომადგენლები და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები. შეხვედრის ფორმატში შემუშავდა კონკურსის მიზანი და მხარეებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის გეგმა. დაგეგმილი კონკურსი ითვალისწინებს ძველი და ახალი რუსთავის კავშირის ქალაქგეგმარებით ანალიზს, ამ კვეთაზე არსებული საზოგადოებრივი სივრცის განახლებას, არსებული მოცულობის რეკონსტრუქციასა და ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავებას.

***2018 01 ოქტომბერს, ჩატარდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სტუდენტურ კონკურსსა და ექსპერიმენტულ კურსში მონაწილეობის მსურველ სტუდენტებთან.*** შეხვედრის ფარგლებში არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა ქალბატონმა ნინო იმნაძემ და პროექტის ორგანიზატორმა ანა ბიბილაშვილმა სტუდენტებს გააცნო ზოგადი ინფორმაცია

კურსის შესახებ, კურსის ამოცანები, მიზნები და გეგმები. ასევე ინფორმაცია საკონკურსო პროექტისა და შესარჩევი კლაუზურის თემის ირგვლივ.

 

***აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით 29 ოქტომბერს მოეწყო შუალედური საკონკურსო პროექტების განხილვა გერმანელ ექსპერტებთან ერთად,რომლებიც პროექტის თანახელმძღვანელები იყვნენ. ესენი არიან:***



გერმანელი არქიტექტორები, GEOBAY – ბავარიის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი არქიტექტორი კარლჰეინზ ბეერ; არქიტექტურის, დოქტორი იორგ ჰეილერი, არქიტექტორი იაკობ ობერპილერი, შ.პ.ს. ,,ბაზალტ ფაიბერის“ დირექტორი გიორგი გოგოლაძე. სტუდენტების მიერ შემუშავებული კონცეფციების განხილვის შემდეგ გერმანელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს მასტერ კლასი საზოგადოებრივი სივრცეების დაგეგმარების თავისებურებებზე, კონკრეტულ პროეტზე თვითოეულ სტუდენტს გაუწიეს კონსულტაციები. არქიტექტორმა იაკობ ჰუბერმა სტუდენტებს ჩაუტარა ლექცია თემაზე ინოვაციური მდგრადი რევიტალიზაცია და კონტექსტი. ლექციის ბოლოს გაიმართა დისკუსია გერმანელ არქიტექტორებსა და ქართველ სტუდენტებს შორის. დიალოგი ძირითადათ წარიმართა საკონკურსო პროექტის ფარგლებში და შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა რას ნიშნავს საზოგადოებრივი სივრცე საქართველოსთვის? რამდენად კომერციული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცე თუ იგი უნდა მოიაზრებოდეს, როგორც სივრცე ყველასთვის. ასევე გარკვეული რეკომენდაციები გაეწიათ სტუდენტებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ახალი და ძველი ქალაქის დაკავშირების ხერხები, ქუჩათა ქსელის მოწესრიგება, რას ნიშნავს არქიტექტურული ფორმა პირამიდა და მისი როლი ქალაქის სივრცულ სტრუქტურაში, ობიექტი, როგორც სიმბოლო თუ ობიექტი, როგორც სოციალური ადგილი და საჭიროებს კავშირს საზოგადოებრივ სივრცესთან, როკორც კომუნიკაცია კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან, საზოგადოებრივი სივრცის ადგილი სატრანსპორტო გზის მიმართებაში, სხვა საზოგადოებრივ სივრცესთან და სხვა.

***გერმანულ–ქართული ერთობლივი სასწავლო ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში გაიმართა კიდევ ერთი ვიზიტი უკვე საპროექტო ტერიტორიაზე ქ. რუსთავში.***

2019 წლის 25 თებერვალს რუსთავის მერიაში, პროექტის **,,ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავისთვის"** კონკურსი გაიმართა. ეს გახლდათ საერთაშორისო პროექტი: **,,ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავისთვის.**



ნტული კურსის: **საზოგადოებრივი სივრცე ყველასთვის და**
**ციები (ინვაციები და ტექნოლოგიები)** ფარგლებში, რომელიც
ისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე. ექსპერიმენტული კურსის
თემა: **,,ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub)**
**ს".**
წავლო კურსი წარმოადგენს საერთაშორისო პროექტს,
ლო სივრცე სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
, კერძო სექტორი ,,იმჟინრული აზრი", რუსთავის
ის არქიტექტორთა საერთაშორისო საბჭო. ექსპერიმენტული კურსის ხელმძღვანელი პროფესორი ნინო იმნაძე; თანახელმძღვანელები: GEOBAY – ბავარიის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი არქიტექტორი კარლჰეინზ ბეერ; არქიტექტორი, დოქტორი იორგ ჰეილერი, არქიტექტორი იაკობ ობერპილერი. შ.პ.ს. ,,ბაზალტ ფაიბერის" დირექტორი გიორგი გოგოლაძე, ასოცირებული პროფესორი ნინო ჩაჩავა, ასისტენტი, დოქტორანტი ანა ბიბილაშვილი; არქიტექტორი, მაგისტრი მამუკა ბარათაშვილი.

პროექტს წინ უძღვოდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები. შეხვედრები, როგორც გერმანელ კოლეგებთან ასევე ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებთან, რუსთავის მერიის წარმომადგენლებთან, რუსთავის გენგეგმის ავტორებთან, გაცნობითი ხასიათის ვიზიტები ქ. რუსთავში საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების მიზნით, ადგილზე რუსთავში ვორქშოფი და საპროექტო ტერიტორიის კონცეფციის შემუშავება.

სტუდენტებს შეხვდნენ ქ. რუსთავის მერი ირაკლი ტაბალუა, მერის მოადგილე ბესიკ ტოგონიძე, არქიტექტურის სამსახურის უფროსი, ეკა პაპუაშვილი, რომლებმაც სტუდენტებს გააცნეს რუსთავის გამოწვევები და სამომავლო გეგმები. არქიტექტურის სამსახურის სპეციალისმა სტუდენტებს წარმოუდგინეს რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, სტრატეგიული საპროექტო არეალები, რომლებიც საჭიროებს რეკონსტრუქციასა და განახლებას, ცოცხალი საზოგადოებრივი სივრცეების შექმნისათვის. მოეწყო ექსკურსია ქალაქის ირგვლივ. ჯგუფმა მოინახულა აღნიშნული ტერიტორიები, დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობები, მათ შორის რუსთავის მუზეუმი, ექსკურსიას უძღვებოდა უშუალოდ მერის მოადგილე ბესიკ ტოგონიძე, რომელმაც მაქსიმალურად სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნა სტუდენტებს ქალაქ რუსთავის პოტენციალსა და მის წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

სტუდენტებმა დაათვალიერეს უშუალოდ საკონკურსო ტერიტორიაც. დღის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა მერიის შენობაში, აზრთა გაცვლა და სამომავლო სამუშაო ფორმატის დაგეგმვა. მერიის თხოვნით სტუდენტებს დაევალათ მოამზადონთ თავიანთი სტრატეგიული ხედვები ნანახი ობიექტების სამომავლო განვითარებისთვის ნაბიჯების გადასადგმელად. შეხვედრამ სტუდენტებს მისცათ შესაძლებლობა სხვა კუთხით დაენახათ თვითონ ქალაქი რუსთავი და მისი ინდივიდუალური ხასიათი, მოსახლეობა, ქუჩები, შენობები და არქიტექტურა. ასევე პირადად შეეფასებინათ რუსთავის წინაშე არსებული გამოწვევები რათა საკონკურსო პროექტით სწორად უპასუხონ, ტერიტორიის წინაშე დასმულ ამოცანებს.

 

 

ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა კონკურსისთვის სტუდენტების შერჩევა. ამ მიზნით ფაკულტეტზე გაიმართა კონკურსი - კლაუზურა. თემა:"საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია". 2018 წლის 5 ოქტომბერს ფაკულტეტზე ჩატარდა კლაუზურა–კონკურსი.

 









***2018 წლის 8, 9, 10 ოქტომბერს მიმდინარეობდა კლაუზურა–კონკურსის ნამუშევრების განხილვა.***





თვითოეულმა სტუდენტმა კომისიის წინაშე გააკეთა საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაცია. ნამუშევრები კომისიის მიერ განხილული იყო ოთხი მიმართულებით: კონცეპტუალური, რეალური, გრაფიკულად მაღალ დონეზე შესრულებული, თუმცა ნაკლებად პასუხობს დავალებას და ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება დავალებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პრეზენტაციის წარმოდგენის უნარს, რამაც საბოოლოოდ გადამწყვეტი როლი შეასრულა ნამუშევრების შერჩევისას. კომისიის გააწყვეტილებით ყველა სტუდენტი ჩართვება ექსპერიმენტულ სასწავლო კურსში.

***2018 წლის 22 ოქტომბერს, ქ. რუსთავის მერიის მხარდაჭერით შედგა ვიზიტი და ვორქშოფი ქ. რუსთავში,***

კონკურსში გამარჯვებული პროექტის გამოვლენა შედგა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში. აღსანიშნავია, რომ ქალაქის რევიტალიზაციის პროექტი, რომლის კონცეფციაზე მუშაობაც, რუსთავის მერის ინიციატივით, მერიის ინოვაციების ჰაბმა ერთი წლის წინ დაიწყო, პირდაპირ კავშირშია კონკურსთან, რომლის მიზანიც, რუსთავში ახალი საზოგადოებრივი სივრცის მოსაწყობად საუკეთესო პროექტის გამოვლენა და ურბანული ჰაბის შექმნაა.




თავდაპირველად კონკურსში, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის  ფაკულტეტის 63 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. თუმცა საკონკურსოდ უნივერსიტეტმა შეარჩია 10 პროექტი. შერჩეული 10 პროექტის ავტორები არიან: ალექსანდრე ტეტროიდი, ანა რატიანი, ბარბარე კიკილაშვილი, გიორგი ჩაბალუხა, გიორგი ზაქაშვილი, ქეთი კაჭარავა, ლევან ჭილაშვილი, ლევან ძეგველაშვილი, თეო გეგეშიძე, თორნიკე დუნდუა. სტუდენტების მიერ მომზადებული ნამუშევრები სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა, რომლის შემადგენლობაშიც, მერიის წარმომადგენლები, ქართველი და გერმანელი ექსპერტები შედიოდნენ. რუსთავის მერიის ფოიეში მოეწყო სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა.





შეხვედრას რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ოფიციალური პირები, კომპანია ,,ბაზალტ ფაიბერს“–ის დირექტორი გიორგი გოგოლაძე, ასევე, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების პროექტის მენეჯერი მარია ბრეგაძე და საქართველოში გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.
კონკურსის წინა ეტაპზე შერჩეული 10 ნამუშევრიდან, სპეციალურმა ჟიურიმ 4 საუკეთესო გამოავლინა. მეორე ადგილი თეო გეგეშიძემ და ბარბარე კიკილაშვილმა, ხოლო პირველი ადგილი ქეთევან კაჭარავამ და ლევან ძეგველაშვილმა დაიკავეს. გამარჯვებული  პროექტების ავტორები სერთიფიკატებით და ფულადი პრემიით დააჯილდოვდნენ. ასევე კონკურსის მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცათ სერთიფიკატები.
კონცეფციის შესაქმნელ ძირითად თემად, სტუდენტებს რუსთავის ,,პირამიდა“ ჰქონდათ შერჩეული, ერთ–ერთი პირველი ადგილიც, სწორედ ,,პირამიდის“ საუკეთესო კონცეფციამ –,,მეტალურგმა“ აიღო.
პროექტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, კომპანია ,,ბაზალტ ფაიბერს“–ის, ბავარიის არქიტეტქორთა გაერთიანების ინიციატივით  და რუსთავის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

## *,,გარაჟი“ – პოტენციური საჯარო სივრცე*

### *ახალგაზრდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადა*

2018 წლის 6 ივლისს, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით და კერძო უმაღლესი სასწავლებელის ასოციაციისა და ჯგუფი „ურბანული ექპერიმენტების“ ორგანიზებით განხორციელდა  პროექტი „ახალგზარდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადა“ თემაზე: ,,გარაჟი“ – პოტენციური საჯარო სივრცე.

2018 წლის 1 მაისიდან – 16 ივნისის ჩათვლით სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართება არქიტექტურული ვორქშოფი თემაზე: **,,გარაჟი“ – პოტენციური საჯარ სივრცე, ავტოფარეხების გადააზრება, ტრანსფორმაცია და ადაპტაცია**

2018 წლის 30 აპრილს შედგა შეხვედრა ვორქშოფში მონაწილე სტუდენტებსა და ტუტორებს შორის. შეხვედრაზე ტუტორებმა წარმოადგინეს ვორქშოფის მიზანი, ლოკაციის ადგილები: გლდანი, ვარკეთილი და ბახტრიონის მიმდებარე ტერიტორია. სტუდენტები გადანაწილდნენ ჯგუფებში, აირჩიეს ლოკაციის ადგილები. შეხვედრა წარიმართა დიალოგის ფორმატში.






2018 წლის 6 ივლისს, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით და კერძო უმაღლესი სასწავლებელის ასოციაციისა და ჯგუფი „ურბანული ექპერიმენტების“ ორგანიზებით გაიმართება პროექტის „ახალგაზარდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადის“ დასკვნითი ღონისძიება. ღონისძიება დაიწყო 15 აპრილს და მისი თემა იყო „გარაჟი პოტენციური საჯარო სივრცე” სტუდენტურმა გუნდებმა გამოცდილ არქიტექტორებთან და ურბანისტებთან ერთად მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე შეიმუშავეს თბილისის 3 ლოკაციაზე (ბახტრიონი, ვარკეთილი, გლდანი) გარაჟებით დანაწევრებული სივრცეების განვითარების სცენარები. ღონისძიება იმართება პროექტის ერთ-ერთ ლოკაციაზე, წარმოდგენილი იქნება ვიზუალურად გამოფენის ფორმატში სტუდენტური ჯგუფების შექმნილი ნამუშევრები (რენდერები, მაკეტები), აგრეთვე გაიმართება პრეზენტაციები კვლევის და შექმნილი კონცეფციების.








ღონისძიებას დაესწრებიან ქ. თბილისის მერიის და გამგეობების წარმომადგენლები, საკრებულოს წევრები, პარლამენტის წევრები, ურბანისტები, არქიტექტორები, ადგილობრივი მოსახლეობა.

პროექტის მონაწილე სტუდენტებს ღონისძიების დასასრულს გადაეცემათ სერთიფიკატები.

ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრებიან, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები.

მისამართი: ფანასკერტელის ქუჩის #13ა

ურბანული ექსპერიმენტების ჯგუფი ქალაქისთვის კრეატიული პროექტების შესამუშავებლად შექმნილი მულტიდისციპლინარული გაერთიანებაა, რომელიც ამ ეტაპზე თბილისში არსებული ავტოფარეხების ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის გზებზე მუშაობს სტუდენტებთან ერთად.



















2015 წელს ჯგუფი „ურბანული ექსპერიმენტები" სამმა არქიტექტორმა – ნუცა კანდელაკმა, შოთა საგანელიძემ და ნუცა ნადარეიშვილმა ჩამოაყალიბეს. მაგისტრატურის კურსი სამივემ უცხოეთში დაამთავრა და თბილისში დაბრუნებულებმა შექმნეს ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც უცხოეთში ურბანულ თუ არქიტექტურულ სფეროში სწავლისა და მუშაობის შედეგად მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას ქართველ სტუდენტებს გაუზიარებენ.

„ურბანული ექსპერიმენტები" მულტიდისციპლინარული ჯგუფია, რომლის მთავარი მიმართულება კვლევასა და დიზაინში bottom up (ქვევიდან ზევით) და hands on (უშუალოდ ხელჩართულ) მიდგომას ეფუძნება, რაც ანალიზის, კვლევისა და დაგეგმარების დროს ადგილობრივ მცხოვრებლებთან მჭიდრო თანამშრომლობას, მათი აზრებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას გულისხმობს; ამგვარი პრაქტიკა ხელს უწყობს არქიტექტორებს, ურბანისტებსა და მოსახლეობას შორის ნდობის ჩამოყალიბებას.

თბილისში 1965-70-იანი წლებიდან, მანქანების დაცვის მიზნით, ე.წ გარაჟებით საზოგადოებრივი სივრცის მიტაცება-დანაწევრებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

დღესაც ქალაქში არსებული ეზოების დიდი ნაწილი ქაოსურად განთავსებულ გარაჟებს უჭირავს და უბნის ეს პოტენციური თავშეყრის სივრცე გადაქცეულია მანქანის დასაყენებელ ადგილად. შედეგად, ხშირ შემთხვევაში დაკარგულია სათამაშო სპორტული მოედნები, შეხვედრისა და ინტერაქციის ადგილები, რეკრეაციული და საზოგადოებრივი სივრცეები.

სასურველია ეს პრობლემა გამოვიყენოთ შესაძლებლობად, რისთვისაც აუცილებელი იქნება ამ სივრცეების გადააზრება და მათი პოტენციალის აღმოჩენა. კვლევის პროცესში დავადგენთ, თუ რა როლს თამაშობს მსგავსი სივრცეები ქალაქის, სამეზობლოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა პოტენციალი აქვს მას და როგორ შეიძლება მათი ტრანსფორმაცია და ადაპტაცია დღევანდელ გამოწვევებთან. აღსანიშნავია, რომ ვორკშოპის უმთავრესი მიზანია სტუდენტებისათვის შემეცნების დონის ამაღლება, მათთვის დიზაინისა და კვლევის იმ სპეციფიკური მეთოდის გაცნობა, რომელსაც დასავლეთში Bottom up Approach ჰქვია და მოსახლეობისა და არქიტექტორ-ურბანისტების მჭიდრო ურთიერთობაზეა დამყარებული.

ამასთანავე, ვორკშოპის მიზანია ერთგვარი გზამკვლევის შექმნა, რომელშიც მოცემული იქნება ავტოფარეხებით დაკავებული საზოგადოებრივ სივრცეთა განვითარების სხვადასხვა სცენარი; ვორკშოპის მონაწილეები შეეცდებიან განსხვავებული სცენარით დაანახვონ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ არსებულ სივრცეებს გააჩნია პოტენციალი იყოს კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, კომერციული, რეკრეაციული ან სხვა ფუნქციის მქონე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტოფარეხი როგორც არქეტიპი თუ არქიტექტურული ნაგებობა

ხასიათდება ცვალებადი და ადაპტირებადი ფუნქციით, იგი ერგება დროს და მფლობელების თუ სამეზობლოს მოთხოვნილებებს.

https://at.ge/2018/06/03/garajebi/**„სტუდენტები პროექტის ფარგლებში შეძლებენ რეალურ დროში პოზიტიური ზეგავლენა იქონიონ თბილისის ურბანულ სივრცეებზე."**

-პროექტში მონაწილეობას იღებენ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის და მაგისტრატურის სტუდენტები. სტუდენტების შერჩევა მოხდა რამოდენიმე ეტაპის გავლით. რეზუმეების, სამოტივაციო წერილისა და ბოლოს, პირადი გასაუბრების საფუძველზე; შეირჩა 30 საუკეთესო კანდიდატი თავიანთი გამოცდილების, თვისებების და უნარების გათვალისწინებით; ვორქშოპში მონაწილეობით, სტუდენტები შეიძენენ გამოცდილებას, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სივრცეების ანალიზს და სოციალურ



კვლევაზე დაყრდნობით მოსახლეობასთან მჭიდრო მუშაობით და მათი აზრის გათვალისწინებით, ქალაქში არსებული პრობლემების გამოვლენას და შემდგომ მათი გაუმჯობესების სცენარების შეთავაზებას.https://apu.ge/ka/news/studentebi-proektis-farglebshi-shedzleben-realur-droshi-pozitiuri-zegavlena-ikonion-tbilisis-urbanul-sivrtseebze/98

***გარაჟი - პოტენციური საჯარო სივრცე***

2018 წლის 7 სექტემბერს გამოვიდა ჯგუფი ურბანული ექსპერიმენტების და კერძო უმაღლესი სასწავლებელის ასოციაციის მიერ 2018 წლის მაისი-ივნისში განხორციელებული ვორკშოპის "გარაჟი - პოტენციური საჯარო სივრცე" დასკვნითი პროექტების შემაჯამებელი ბუკლეტი. ვორქშოფში მონაწილეობას ღებულობდნენ სტუ-ს არქიტექტური, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები.

https://issuu.com/urbanexperimentsgtoup/docs/

***სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი პარიზში***

2018 წლის 5 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა უკვე ტრადიციული სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი (პარიზის რეგიონი, საფრანგეთი). სერჟი-პონტუაზის ვორკშოპები იმართება 1982 წლიდან და ყოველი სესია გარკვეულ თემას ეძღვნება. სესიის მსვლელობისას საერთაშორისო სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფები ერთი თვის მანძილზე ეცნობიან სხვადასხვა საინტერესო ადგილებს, ამუშავებენ წინადადებებს და სესიის ბოლოს წარადგენენ პროექტს. წლევანდელი სესიის თემა იყო ,,ცხოვრება მეტროპოლიტენის არეალში“.

ჩვენი ფაკულტეტი, სახელოსნოს დაარსების დღიდან თითქმის ყოველ წელს აგზავნის სტუდენტების პროექტებს საფრანგეთში, ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად. წელს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენელი იყო მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი გვანცა ცქიფურიშვილი. სესიაში მონაწილეობის მისაღებად მან გაიარა კონკურსი, რისთვისაც ვორკშოპზე წინასწარ გააგზავნა დამუშავებული თემა თბილისი-რუსთავის

ურბანულ-რურარული კავშირების შესახებ. (ხელმძღვანელიასოც.პროფ. დ. ბოსტანაშვილი).











გვანცამ ერთი თვის მანძილზე იმუშავა ხუთი სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფში, რომელთა შორის იყვნენ არქიტექტორი, ლანდშაფტის დიზაინერი და ურბანული სოციოლოგი. დანარჩენ სამ ჯგუფთან ერთად, საკუთარი შემუშავებული პროექტი „დაკავშირებულობა და მრავალფეროვნება" (Connectivity and Diversity) წარადგინა ფართე აუდიტორიის (მათ შორის 30 კაციანი ჟიურის) წინაშე, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც სპეციალისტები ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ რეალური ბერკეტები სტუდენტების მიერ შემოტავაზებული იდეები გამოიყენონ რეგიონის განვითარების ხედვაში.ამ პროექტის მიხედვით, პარიზის რეგიონიდან, შეირჩა 6 ძირითადი ტერიტორია, რომელთაგან პრეზენტაციაზე დეტალურად 2 იქნა განხილული - ქ.პარიზის სენ დენის რაიონი და ქ. ვენდომი, მათი განსხვავებული ხასიათისა და პრობლემატიკის გამო. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი ხასიათისა და რესურსის აღმოჩენა, წინ წამოწევა და მათი გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება ამა თუ იმ არეალზე, რაც ადამიანების, სამეზობლოების, ქალაქებისა და რეგიონების უკეთეს კავშირს და რესურსების გაზიარებას შეუწყობს ხელს. გუნდის მთავარი კონცეფცია სწორედ ამ აქტივობებს ე.წ. „მარცვლებს" ეყრდნობოდა, რომელიც მომავალში ტყედ იქცევა და უფრო დიდ მასშტაბებზე იქონიებს გავლენას; კონცეფციის გასამყარებლად მოყვანილი იყო სხვადასხვა ქვეყნების ადგილობრივი მაგალითები, მათ შორის ფესტივალები ინდოეთიდან და ძველი ფაბრიკა-ქარხნების ადაპტაციის მაგალითები საქართველოდან. საბოლოოდ პროექტმა სხვა სამ წინადადებასთან ერთად დიდი მოწონება დაიმსახურა ჟიურის მხრიდან. გარდა ამისა, მონაწილეებმა გაიცნეს პარიზის რეგიონის მრავალი საინტერესო ადგილი და ერთმანეთს გაუზიარეს კულტურული გამოცდილებები. ატელიეს ყოველწლიური ვორკშოპები იმართება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში და აფრიკის კონტინენტზე.

## *არქიტექტურული დიალოგი გერმანელ ახალგაზრდა არქიტექტორებსა და ქართველ სტუდენტებს შორის*



2018 წლის 22 ოქტომბერს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში შედგა შეხვედრა გერმანელ არქიტექტორებთან კიოლნიდან: მარიტა რიედელ, დორის ფუნქჰაუზერ, ტატიანა დეტერინგ და ბირგიტ დ. მეიერ-ვაიდმანნ, კიოლნის და მაინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გერჰარდ კალჰოფერ და მისი

ყოფილი სტუდენტები, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურულ სკოლებში და



ამავე დროს მუსაობენ ტავიანთ პროფესორტან ერთად არქიტექტურულ ბიუროში: დავიდ ებელი კიოლნი, არქიტექტორი და ასევე მარსელის ხელოვნების ბაკალავრი; ტობიეს შეედერი არქიტექტორი და მაინსის ხელოვნების მაგისტრი; იოჰანეს ჰაუკე ლაიპციგი–არქიტექტორი, მირა ჰეინზე – კიოლნი არქიტექტორი, დირკ ზალოგა დუსელდორფი არქიტექტორი.



შეხვედრაზე მაინსის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა სტუდენტებს გაუზიარა ის გამოცდილება და პროექტირების სწავლების მეთოდიკა, რომელიც ხორციელდება მაინსის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. სწავლების მეთოდიკა დაფუძნებულია რეალური პროეტების შესრულებაზე, მიზანი არის არა არქიტექტურული სიმბოლოს დაპროექტება, არამედ რეალური დაკვეთით, კლიენტის მოთხოვნის გათვალისწინებით ისეთი პროექტის შესრულება, რომელიც შემდგომ განხორციელდება დამკვეთის მიერ. ასეთი პროეტები მცირე მოცულობისაა თუმცა მათი გადაწყვეტა ითხოვს ინოვაციურ მიდგომას. მათ შორის ასრულებენ პროექტებს როგორიცაა მიშენება, დაშენება, რესტაცრაცია, ახალის ინტეგრაცია ძველთან და სხვა. ეს ის პოექტებია, რომელიც პრაქტიკულად გამოყენებადია. პროექტირებისას დიდი დრო ეთმობა კონცეფციის შემუშავებას, რომელსაც უთმობენ თითქმის ნახევარ სემესტრს. აზრი ასეთი მიდგომის მდგომარეობს იმაში, რომ დამპროექტებელი ახალოს იყოს ადამიანტან, ადამიანზე მორგებული იყოს და შეუქმნას მას კომფორტი, ხასიათდებოდეს ბუნებრივობით. ე.წ. სახალხო არქიტექტურა და არა არქიტექტურის მიმართულების განმსაზღვრავი. ანუ ადამიანზე ორიენტირებული არქიტექტურა წარმოადგენს სწავლების ძირითად პრინციპს. სწორედ ამაში მდგომარეობს სწავლების მეთოდის ორიგინალობა. სასწავლო კურსი განიხილება, როგორც კრეატიული არქიტექტურა. ლექციისს პროფესორმა განიხილა რამოდენიმე მაგალითი. შემდგომ გერმანელმა ახალგაზრდა არქიტექტორებმა ჩაუტარეს მასტერ კლასი ქართველ სტუდენტებს და გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება თუ როგორ და რა მეთოდებით წყვეტდენ სხვადასხვა არქიტექტურულ პრობლემას. განიხილეს კონკრეტული მაგალითები როგორიცაა ,,წითელი ბუნკერი", მცირე ზომის საზოგადოებრივი სივრცე ე.წ. მოძრაობის სივრცე, ინტერაქტიული პროექტირება და სხვა.

ბოლოს სტუმრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტი. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა დავით ბოსტანაშვილის ,,არქიტექტურული პოეტიკის" სტუდიამ, სადაც სტუმრებმა ყველაზე ნატლად დაინახეს თუ რა პოტენციალს ფლობენ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები.

### *ინტერდისციპლინარული საერთაშორისო ვორქშოფი ,,საგამოფენო პავილიონი" გონიო–აფსაროსის არქეოლოგიურ–არქიტექტურულ მუზეუმ–ნაკრძალში.*





2018 წლის 25 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ირაკლი ზუკაკიშვილმა, გიორგი კეპულაძემ, ინვერ შვანგირაძემ და გიორგი ჩაბალუხამ მონაწილეობა მიიღეს ინტერდისციპლინარულ საერთაშორისო საკონკურსო პროექტის ,,საგამოფენო პავილიონი" გონიო–აფსაროსის არქეოლოგიურ–არქიტექტურულ მუზეუმ–ნაკრძალში" პირველ ეტაპში. პირველ ეტაპზე გონიოში ჩატარდა ვორქშოფი.

საერთაშორისო პროექტში მონაწილეობას ღებულობენ პოლონეთის მხრიდან ქალაქ გდანსკის სამხატვრო აკადემიის და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის სტუდენტები. საქართველოს მხრიდან სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და  სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები. პირველ ეტაპზე შედგა საერთაშორისო ჯგუფები, რომელიც დაკომპლექტდა როგორც ქართველი ისე პოლონელი სტუდენტებით.

ვორქშოფის მიზანი იყო პირველირიგში საპროექტო დავალების დაგეგმვა. საპროექტო ადგილის შესწავლა, კვლევა, ვიზუალური დათვალიერება, ფოტო ფიქსაცია, ჩანახატების გაკეთება და პირველადი კონცეფციის შემუშავება. ასევე ამ ადგილის რესტავრაცია–რეკონსტრუქციის თავისებურების გაცნობა.

29 ოქტომბერს ფაკულტეტზე შედგა გონიოში, ვორქშოფზე ჩატარებული სამუშაოს განხილვა და განისაზღვრა მომავალი მუშაობის სპეციფიკა. სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან სტუდენტებს კონსულტაციებს გაუწევენ პროფესორები ნინო იმნაძე და დავით ბოსტანაშვილი. პროექტის მეორე ეტაპი გულისხმობს კონცეფციის შემუშავებას და აზრთა გაზიარებას ონლაინ რეჟიმში. საბოლოოდ პროექტი უნდა დასრულდეს თებერვალს.





## სტუდენტური კონკურსი

2018 წლის 25 დეკემბერს შედგა სტუდენტურ კონკურსში: „სათამაშო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ნაძვისხისთვის“ გამარჯვებულების დაჯილდოება. დაჯილდოებას წინ უძღვოდა  გამოფენა და ჟიურის მუშაობა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს

ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის სტუდენტებმა. თვითოეულ სტუდენტს წარმოდგენილი ჰქონდა რამოდენიმე ნამუშევარი. მთავარი კრიტერიუმი იყო ორიგინალური სათამაშოს შექმნა არქიტექტურის თემაზე. დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები, რომელიც გადაეცათ გამარჯვებულ სტუდენტებს. პრიზები გადასცა ფაკულტეტის დეკანმა ნინო იმნაძემ.

დაჯილდოვდნენ:

I ადგილი – ალექსანდრე ნავროზაშვილი. მას გადაეცა ფულადი პრიზი 100 ლარი

II ადგილი – ნუცა კიკნაველიძე პრიზი – 50 ლარი

III ადგილი – სოსო ჩიბურდანიძე – 20

წამახალისებელი პრიზები გადაეცათ მარიამ კაკაურიძეს, თათული აფციაურს, მედეა დიდებაშვილს, გვანცა ძაგანაშვილს და გიორგი დოიჯაშვილს.

დაჯილდოების შემდეგ ყველამ ერთად სტუდენტებმა და პედაგოგებმა მორთეს საახალწლო ნაძვის ხე!















### *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბ ლაბისა და ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკალსი არქიტექტორების და დიზაინერებისთვის*

2019 წლის 3 იანვარს სტუ-ს ფაბ ლაბში შედგა სამუშაო შეხვედრა ფაბ ლაბის ხელმძღვანელს გიორგი ფრანგიშვილს, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის მაგისტრს არქიტექტორ კონნორ ბორჰარტს, არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის აკულტეტის დეკანს ნინო იმნაძესა და ასოცირებულ პროფესორ დავით ბოსტანაშვილს შორის.

შეხვედრის მიზანი იყო ლექციის და მასტერკლასის დაგეგმვა, რომელსაც უხელმძღვანელებს ამერიკელი არქიტექტორი კონნორ ბორჰარტი.

კონნორმა დაათვალიერა არქიტექტურის, ურბანსტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და „არქიტექტურული პოეტიკის" სტუდია, სადაც გაიმართება ვორქშოფი.





**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბ ლაბისა და ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკლასი არქიტექტორებისთვის და დიზაინერებისთვის**

2019 წლის 25 სტუ-ს ფაბ ლაბ –ის ორგანიზებით გაიმართება მასტერკლასი და ვორქშოპი: **„ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი".**

**კურსი შეისწავლის ედმუნდ ჰუსერლის და მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიას და მათ პოტენციურ გავლენას არქიტექტურაზე როგორც ადგილის შემქმნელ ფენომენზე. მიმდინარე ტენდენციები, როგორებიცაა პარამეტრიზმი, მდგრადობა, ობიექტურობა და პოსტმოდერნიზმი ასევე პროეცირდება ვორკშოპის თემაზე.**

**კურსის მიზანია: სტუდენტებმა შეისწავლონ ის ინსტრუმენტები, რომლებიც მისცემს მათ საშუალებას შექმნან დიზაინი და სივრცე პოეტურად; ამასთან დაეხმარება მათ გააცნობიერონ საგნის (ნივთის) არსი მისი განცდის თვალთახედვიდან.**

ვორქშოფში მონაწილეობას მიიღებენ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და დიზაინის საერთაშორის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები.

**ვორქშოფს გაუძღვება ამერიკელი არქიტექტორი, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის არქიტექტურის მაგისტრი კონნორ ბორჰარტი**

**ლექცია და ვორქშოფი: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი".**



2019 წლის 25 იანვარს სტუ-ს ფაბ ლაბში ჩატარდა **ამერიკელი არქიტექტორის, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის არქიტექტურის მაგისტრის კონნორ ბორჰარტის ლექცია თემაზე: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი"**. ლექციის შემდეგ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, არქიტექტურული პოეტიკის სტუდიაში ჩატარდა ვორქშოფი.

ლექციაზე განხილული იყო ფენომონოლოგია არქიტექტურაში და დიზაინში, ფილოსოფიის მნიშვნელობა და გავლენა არქიტექტურაზე, როგორც ადგილის შემქმნელი ფენომენი. განხილული იყო ის მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელიც არქიტექტორებს აძლევენ საშუალებას შექმნან დიზაინი და სივრცე პოეტურად. ნაჩვენები იყო თუ როგორ ვლინდება ფენომენოლოგია გამოჩენილი არქიტექტორების სტივენ ჰოლის, პიტერ ცუმტორის, ვანგ შუ და ლუ ვანიუ–ს შემოქმედებაში. ასევე კონორმა სტუდენტებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება.

ლექციაზე განხილული მეთოდით სტუდენტებმა ვორქშოფზე შეექმნეს საკუთარი პროექტი. ვორქშოფის მსვლელობაზე კონორი თვითოეული სტუდენტის ნამუსევარს განიხილავდა ინდივიდუალურად. ვორქშოფი გაგრძელდა ხუთი საათი. მუშაობის დასრულების შემდგმო მოეწყო სტუდენტური ნამუშევრების საჯარო განხილვა და კრიტიკული ანალიზი. კრიტიკას წარმართავდნენ ერთობლივად კონორი და არქიტექტურული პოეტიკის სტუდიის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი დავით ბოსტანაშვილი.

ვორქშოფში მონწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და დიზაინის საერთაშორის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებმა.

ვორქშოფის ორგანიზატორი: სტუ–ს ფაბ ლაბი. ხელმძღვანელის გიორგი ფრანგიშვილი.









**ვორქშოფი სტუ–ს დიზაინის  საერთაშორისო სკოლაში თემაზე: ,,ფენომონოლოგია არქიტექტურაში“**

2019 წლის 15 თებერვალს სტუ–ს დიზაინის საერთაშორისო სკოლაში გაიმართა ამერიკელი არქიტექტორის კონორ ბორჰატის ლექცია და ვორქშოფის: ,,ფენომონოლოგია არქიტექტურაში“ მეორე ეტაპი. ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა და კრიტიკაში ასოც. პროფესორმა დავით ბოსტანაშვილმა.




***მასტერკლასი: ,,კრიტიკული რეგიონალიზმი“***

2019 წლის 8 მრტს სტუ–ს ფაბლბისა და ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკალასის დასკვნით მესამე ეტაპი გაიმართა. მესამე ეტაპის თემა გახლდათ ,,კრიტიკული რეგიონალიზმი“. მასში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკი და დიზინის ფაკულტეტის სტუდენტებმა. მასტერკლას გაუძღვა ამერიკელი არქიტექტორი კონორ ბორჰარტი.





***გამოვლენილია მასტერკლასის: ,,კრიტიკული რეგიონალიზმი“გამარჯვებული***



2019 წლის 8 მრტს სტუ–ს ფაბლბისა და ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკალასის დასკვნით მესამე ეტაპი გაიმართა. მასტერკლასის თემა იყო ,,კრიტიკული რეგიონალიზმი“

2019 წლის 3 აპრილს ფან ლაბმა გამოავლინა გამარჯვებული პროექტის ავტორი: სოსო ჩხაიძე, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

იგი ასევე იქნა დასახელებული გამარჯვებულად, ამერიკელი არქიტექტორების ჯგუფის მიერ Connor Patrick Borchardt -ის ხელმძღვანელობით :

ვციტირებთ მის შეფასებას:

"Soso's project was well thought out and successfully pulled together multiple design elements. He exemplified his understanding of Critical Regionalism through the integration of historic Georgian residential and military typologies. In addition, his work had a strong focus on the different materials commonly used in historic vernacular architecture. Congratulations to Soso for winning the recent competition."

ფაბ ლაბის ჩართულობა იქნება შემდეგი:

მასთან ერთად მოხდება დეტალიზაცია მთლიანი პროექტის და დამზადებული პროტოტიპის ნახვა შეეძლება ყველა მსურველს .....

**პროექტი ,,ახალი ვარჯაანი“**

2019 წლის 15 თებერვალს სტუ—ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში 16 საათზე შედგა შეხვედრა ექიმ ლევან ჩოლოყაშვილთან, რომელმაც სტუდენტებს და პედაგოგ—მასწავლებლებს წარუდგინა პროექტი—კონცეფცია ,,ახალი ვარჯაანი“. ნაჩვენები იყო ასევე პატარა სიუჟეტი სოფლის ისტორიის შესახებ: ერთ დღე ღამეში დაცლილი სოფელი და დაბრუნება 60 წლის შემდეგ. პროექტის წარდგენის მიზანია სტუდენტების ჩართავა სოფლის კონცეფციის შემუშავებაში. პრეზენტაციია შემდეგ გაიმართა ცხარე დისკუსია სტუდენტებსა და პროექტის ავტორს შორის. სტუ—ს არქიტექტურის, ურბანისტიკის

და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები ჩაერთვებიან ამ საინტერესო იდეის სოფელი ,,ახალი ვარჯაანი“ კონცეფციის შემუშავებაში.





*კომპანია „ეუროფასადი“ – საჯარო ლექცია „მოპირკეთების თანამედროვე სტანდარტი“*

2019 წლის 19 მარტს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც. აუდიტორიაში 14 საათზე ჩატარდა შეხვედრა კომპანია ,,ეუროფასადის“ წარმომადგენლებთან. "ეუროფასადის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო მასალების იმპორტი და მშენებლობის ორგანიზაცია.

კომპანიის დამფუძნებელმა ბესარიონ საბაშვილმა ფაკულტეტის სტუდენტებს და პედაგოგებს წარუდგინა კომპანია, რომლის მიზანია შექმნას ესთეტიკურად ლამაზი გარემო ეკოლოგიურად ჯანსაღი მასალით და პროდუქციის უმაღლესი ხარისხით. და ვიზუალური მასალების საშუალებით პრაქტიკულად აჩვენა თანამედროვე მასალების შესაძლებლობები შენობათა ფასადების მოპირკეთებისას და როგორი ტექნოლოგიით ხორციელდება მათი მიმაგრება ფასადებზე. ლექცია წარიმართა დიალოგის რეჟიმში. ლექციის დასრულების შემდეგ კომპანიის დამფუძნებელმა სტუდენტებს შესთავაზა სპეცპროექტი: ეუროფასადია ,,შოურუმი“,რომელსაც დააპროექტებენ სტუდენტებთან ერთად. აღნიშნული პროექტი საკონკურსოა, რომელიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას იმუშაონ რეალურ პროექტზე და პრაქტიკულად გამოიყენონ ეუროფასადის მიერ წარმოდგენილი საფასადე მასალები.







*პროექტი: „შოურომი“ კომპანია „ეუროფასადისთვის“*

2019 წლის 27 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა დაათვალიერეს საპროექტო ტერიტორია კომპანია ,,ეუროფასადის“ შოურუმისთვის. შოურუმის დაპროექტება ეუროფასადის დამფუძნებელმა ბესარიონ საბაშვილმა შესთავაზა სტუდენტებს. ეს არის პროექტი, რომელიც პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს თვითოეულ მონაწილეს.

სტუდენტებს საშუალება მიეცათ, დეტალურად დაეთვალიერებინათ კომპანიის ობიექტი, წარმოედგინათ საკუთარი ხედვები და დირექტორთან ერთად განეხილათ მომავალი “შოურუმის” დაგეგმარებითი სამუშაოები.

სტუდენტებს პროექტის და საპროექტო დავალების შედგენაში დაეხმარებიან ფაკულტეტის პროფესორები: ნინო იმნაძე, შოთა გელაშვილი, ქეთევან სალუქვაძე და გურამ ხოსრუაშვილი.










*კომპანია „ეუროფასადი“ სტუდენტებისთვის აცხადებს კონკურსს*

17 აპრილი 2019 კომპანია „ევროფასადი“ არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის აცხადებს კონკურსს არქიტექტურული პროექტის შესაქმნელა. თემა: ევროფასადის ახალი ოფისი და შოურუმი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტს. აქციის მთავარი მიზანია სტუდენტებში პროფესიული უნარ–ჩვევების განვითარება და რეალურ პროექტზე მუშაობის გამოცდილების შეძენა.

კონკურსის პირობები:
•მოცემული აზომვითი ნახაზის და გეგმის შესაბამისად 2019 წლის 8 მაისამდე უნდა გაიგზავნოს ინტერიერის და ფასადის რეკონსტრუქციის პროექტი, არანაკლებ სამი რენდერის თანხლებით მეილზე info@eurofasad.ge აუცილებელია პროექტს თან ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია:
•კონკურსანტის(ან კონკურსში მონაწილე ჯგუფის) სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ სტუდენტებს)
•საკონკურსო პროექტები მიიღება კონკურსის გამოცხადების დღიდან 2019 ლის 8 მაისამდე
•გამარჯვებულები გამოვლინდებიან კონკურსის ჟიურის მიერ 2019 წლის 10 მაისს.

**პრიზები:**

1. **პირველ ადგილზე გასული დასაჩუქრდება 1500 ლარით;**
2. **მეორე ადგილზე გასული დასაჩუქრდება 1000 ლარით;**
3. **მესამე ადგილზე გასული დასაჩუქრდება 500 ლარით**

გაითვალისწინეთ:

•საკონკურსო ვადის ამოწურვის შემდეგ მიღებული პროექტები აღარ განიხილება.

გისურვებთ წარმატებას

კონკურსზე წარდგენილ პროექტებს შეაფასებს ჟიური:

•საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი ნინო იმნაძე;
•სტუ ს პედაგოგი: არქიტექტორი ვასილ ქობულია;
•კომპანია „ევროფასადის“ დირექტორი ბესიკ საბაშვილი-ჟიურის თავმჯდომარე;
•კომპანია ევროფასადის ტექნიკური დირექტორი ანდრეი სლაძევსკი;
•თსსა პროფესორი,არქიტექტორი ზაქარია ქურდიანი
•თსსა პროფესორი ნოდარ ამაშუკელი
•თსაა პროფესორი გიორგი ჩხაიძე
•ილიას უნივერსიტეტის ორი პედაგოგი

**საკონკურსო პროექტი: კომპანია „ევროფასადის“ შოურუმი**

2019 წლის 11 მაისს, გახოკიძის 2-ში, კომპანია "ევროფასადის" ახალ შოურუმში სტუდენტური არქიტექტურული კონკურსის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. კონკურსია მიზანი იყო კომპანია "ევროფასადის" ახალი შოურუმის ინტერიერის და ფასადის საუკეთესო პროექტის გამოვლენა.







კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდებტებმა. მათ მიერ წარმოდგენილი იყო ჯგუფური პროექტები. სულ შემოვიდა ცხრა პროექტი. პროექტები განხილული იყო ჟიურის მიერ, რომლიც წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით:

- სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი ნინო იმნაძე;
- სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვასილ ქობულია;

- კომპანია „ეუროფასადის“ დირექტორი ბესიკ საბაშვილი-ჟიურის თავმჯდომარე;
- კომპანია “ეუროფასადის” ტექნიკური დირექტორი ანდრეი სლაძევსკი;
- თსსა პროფესორი,არქიტექტორი ზაქარია ქურდიანი;
- თსსა პროფესორი ნოდარ ამაშუკელი;
- თსაა პროფესორი გიორგი ჩხაიძე;
- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არქიტექტორი – ლაურა ქუმსიაშვილი;
- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არქიტექტურის პროგრამის კოორდინატორი ია კუპატაძე.

საკონკურსო პერიოდში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ  მოეფიქრებინათ  და შეესრულებინათ აზომვითი ნახაზის და გეგმის შესაბამისად ინტერიერის და ფასადის რეკონსტრუქციის პროექტი.



ღონისძიებას ესწრებოდა Fundermax”-ის საერთაშორისო გაყიდვების მენეჯერი დანიელ ოლეევი.
კონკურსის შედეგები



კონკურსში გაიმარჯვა პროექტმა,რომლის ავტორები სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტთა ჯგუფია:  მარიამ ლვინეფაძე, ანა ნაცვლიშვილი და ნუცა კიკნაველიძე.



მეორე ადგილისთვის განკუთვნილი პრიზი წილად ერგოთ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით: თეო გეგეშიძე, თინათინ ჯანიაშვილი,ნიკა კალანდარიშვილი, თორნიკე დუნდუა



მესამე ადგილი ჟიურიმ სტუდენტებს ზაალ სიფრაშვილსა და ნიკა ნიქაბაძეს მიაკუთვნა.



„ევროფასადის სპეციალური პრიზი გიორგი (გეგი) ევსიას და ტატა ზაქარაიას პროექტს გადაეცა .

შოურუმის მისამართია: ქ.თბილისი, გახოკიძის ქუჩა №2




## სტუდენტური კონკურსი

2018 წლის 25 დეკემბერს შედგა სტუდენტურ კონკურსში: ,,სათამაშო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ნაძვისხისთვის'' გამარჯვებულების დაჯილდოება. დაჯილდოებას წინ უძღვოდა  გამოფენა და ჟიურის მუშაობა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის სტუდენტებმა. თვითოეულ სტუდენტს წარმოდგენილი ჰქონდა რამოდენიმე ნამუშევარი. მთავარი კრიტერიუმი იყო ორიგინალური სათამაშოს შექმნა არქიტექტურის თემაზე. დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები, რომელიც გადაეცათ გამარჯვებულ სტუდენტებს. პრიზები გადასცა ფაკულტეტის დეკანმა ნინო იმნაძემ.

დაჯილდოვდნენ:

I ადგილი – ალექსანდრე ნავროზაშვილი. მას გადაეცა ფულადი პრიზი 100 ლარი

II ადგილი – ნუცა კიკნაველიძე პრიზი – 50 ლარი

III ადგილი – სოსო ჩიბურდანიძე – 20

წამახალისებელი პრიზები გადაეცათ მარიამ კაკაურიძეს, თათული აფციაურს, მედეა დიდებაშვილს, გვანცა ძაგანაშვილს და გიორგი დოიჯაშვილს.

დაჯილდოების შემდეგ ყველამ ერთად სტუდენტებმა და პედაგოგებმა მორთეს საახალწლო ნაძვის ხე!
















მასტერკლასი ,,ახალი ბიზნეს იდეები და ტენდენციები“

2019 წლის 11 აპრილს ,,მეტი დეველოპმენტმა“ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარეს მასტერკლასი ,,ახალი ბიზნეს იდეები და ტენდენციები“. მასტერკლასი ჩაატარეს მეტი დეველოპმენტის სპეციალური მოწვევით: ნიდერლანდელმა არქიტექტორებმა ბერენდ ვან ეგმონდი, მეც. მაგისტრი და ემილია ვან ეგმონდი, მეცნ. დოქტორი. მასტერკლასის ბოლოს სტუდენტებს გადეცათ სერთიფიკატები. დიდი მადლობა ორგანიზატორს ,,მეტი დეველოპმენტს“ და იდეის ავტორს ,,იოტა დიზაინს“

მასტერკლასის თემები:

1. საოფისე შენობების ტენდენციები და უახლესი მოვლენები

2. ინოვაცია და მდგრადი შენობების მშენებლობა

***არქიტექტურული კონკურსი სტუდენტებისთვის***

***თემა:“ზემო ნიქოზის ხელოვნების სახლი“***

*2019 სასწავლო წელს ცხადდება კონკურსი „ზემო ნიქოზის ხელოვნების სახლის პროექტი“. ზემო ნიქოზი მდებარეობს შიდა ქართლში, ცხინვალის სამხრეთით 1 კმ–ში (საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე). აქ უძველესი საეპისკოპოსო მე–5 საუკუნეში, მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ არის დაარსებული. სოფელში დგას ეპარქიის საკათედრო ტაძარი „ღვთაება“ ამაღლების სახელობისა (მე–V საუკუნე), იქვეა ეპისკოპოსის სასახლე (IX–XI ს.)*

2008 წლის ომის მერე, იაპონიის საელჩოსა და ამერიკული ორგანიზაცია "საქართველოს ამერიკელი მეგობრები"-ის დახმარებით, მონასტერთან დაარსდა ნიქოზის წმ. ალექსანდე ოქროპირიძის ხელოვნების სკოლა.

ნიქოზში 2011 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად იმართება, ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ,,ნიქოზი". წლიდან წლამდე ეს ფესტივალი უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

ომის შედეგად, ნგრევის და გაპარტახების საპირისპიროდ ზემო ნიქოზში უნდათ ხელოვნების სახლის აშენება, რომლისთვისაც განკუთვნილია წმ. ალექსანდე ოქროპირიძის ხელოვნების სკოლის გვერდითა ტერიტორია (ამჟამად ეს ტერიტორიები გაერთიანებულია).

**პროექტი: ,,ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლა" წინასწარი განხილვა**

2019 წლის 29 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 506 ც აუდიტორიაში (12 სთ.) შედგა საკონკურსო პროექტის ,,ნიქოზის ხელოვნების სკოლა" წინასწარი განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ ცხინვალის და ნიქოზის ეპარქიის მეუფე ისაია, არქიტექტორები ნინო ბაგრატიონი და გიორგი ბარნაბიშვილი, სტუ-ს პროფესორები ნ. იმნაძე. გ. გეგელია, ბ. ტატიშვილი. პროექტები წარმოადგინეს მე-4 კურსის ბაკალავრიატის 65115 ჯგ.-ის სტუდენტებმა: აკაკი სხვიტარიძემ, ანა ნუცუბიძემ, თებრონე დიაკონიძემ, ავთო სხილაძემ, მერაბ გიგინეიშვილმა და ვასო ფხოველიშვილმა. პროექტის ჩაბარების სავარაუდო თარიღია 2019 წლის 15 ივლისი.






**,,ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლასთან არსებული თეატრის" საკონკურსო პროექტის განხილვა**

2019 წლის 15 ივლისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო საკონკურსო პროექტის ,,ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლა" გამოფენა, განხილვა და კონკურსში გამარჯვებული სტუდენტის გამოვლენა. ჟიურის შემდგენლობა: ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია, არქიტექტორი ნინო ბაგრატიონი, არქიტექტორი ირაკლი ბარნაბიშვილი, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარძე, კინო-რეჟისორი გელა კანდელაკი. ჟიურიმ იმსჯელა და გამოავლინა გამარჯვებული სტუდენტები. საკონკურსო პროექტი შესრულდა ორ ლოკაციაზე: ხელოვნების სკოლის მიმდებარედ, სადაც დაპროექტდა თეატრი მცირე დარბაზით და ზემო ნიქოზის ეპარქიის საკათედრო ტაძრის ,,ღვთაება" მიმდებარე ტერიტორიაზე – თეატრი დიდი დარბაზით;

ადგილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

თეატრი მცირე დარბაზით

I ელენე გობეჯიშვილი

II აკაკი სხვიტარიძე

III გიორგი კრავჩენკო

თეატრი დიდი დარბაზით

I ანა ნუცუბიძე

II მერაბ გიგინეიშვილი

III ავთო სხილაძე









 



**პროექტი ,,ახალი ბანა“**

2019 წლის 23 ივლისს დასრულდა პროექტი ,,ახალი ბანა“. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2018 წლის სექტემბერს. ახალი ,,ბანას“ მშენებლობა იგეგმება ხაშურის მიმდებარე ტერიტორიაზე სურამის და ხაშურის ეპარქიის მიტროპოლიტი სვიმეონის თაოსნობით. ტავად იდეა ეკუთვნის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია 2-ს და იგი უნდა გახდეს საქართველოს გაერთიანების სიმბოლო. თავად ადგილი შეირჩა სპეციალურად, რადგან იგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვარია. ახალი ბანა არის ტაოკლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარე ბანას ასლი, ხოლო ახალი პროექტით გათვალისწინებულია, უზარმაზარი კომპლექსი, როგორც ცენტრი სასულიერო და საერო მოღვაწეობისთვის. კომპლექსში გათვალისწინებულია სახელოვნებო, სამეცნიერო, სასაწავლო, ხალხური რეწვის და კულტურის ობიექტები. პროექტის ავტორები ვახტანგ ნოსელიძე და შალვა ხუციშვილი. ხელმძღვანელები ბესარიონ ტატიშვილი, გიული გეგელია და ნინო იმნაძე.

 

## Travelling Conference SCFuture - “South Caucasus Urban Futures - smart, systemic, resource efficient” in Tbilisi (May 9 to 12, 2019) / Yerevan (May 14 to 17, 2019).

Partners of SCFuture

are:

• TH Köln (Germany),

• TU Georgia,(GTU)

• Ilia State University (Georgia),

• National University of Architecture and Construction of Armenia,

• Tbilisi City Hall Architecture Service Design Division,

• Architecture week LLT (Armenia)

• ICON-INSTITUT Engineering GmbH (Germany).

.

SCFuture is funded by the German Federal Ministry of Education and Research

(BMBF).

Technology Arts Sciences

**TH Köln** University of Applied Sciences

Faculty of Architecture / **CIAD** Institute of Architectural Design

## Program:
### სამოგზაურო კონფერენცია - Travelling Conference SCFuture - "South Caucasus Urban Futures -smart, systemic, resource efficient" in Tbilisi (May 9 to 12, 2019) / Yerevan (May 14 to 17, 2019).

**2019 წლის 9 მაისიდან 12 მაისი ჩათვლით** თბილისში შედგა საერთაშორისო პროექტის Travel conferences სამუშაო შეხვედრა კიოლნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, სომხეთის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქ.თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მონაწილეობით.

"სამოგზაური კონფერენციაზე" სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მიერ მომზადდა ე.წ. ,,ფოტო ხმა" - პროექტი ,, Sustainable City-Waste Management System, Municipal Card, Mobile Application"; ეს არის ერთობლივი პროექტი რომელზეც მუსაობდა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები: ნინო იმნაძე, ნინო ჩაჩავა, მარიკა ფოჩხუა; პირველი კურსის დოქტორანტები: გიორგი გაბუნია, ოთარ მჭედლიშვილი, მე-4 კულრსის ბაკალავრები: ანდრო ქორთუა და ლევან ძეგველშვილი;

ფოტო ხმის საბოლოო სახე:




შეხვედრა მოიცავდა თბილისის პრობლემატური უბნების ანალიზს მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე. კომპლექსური ანალიზის საფუძველზე განხილული იყო ელიავას ბაზრობის არსებული მდგომარეობა, მისი მომავალი განვითარების შესაძლო მიმართულებები, ცენტრალურ სარეკრეაციო სისტემასთან თანხვედრისა და თანამონაწილეობის პოტენციალი. კონფერენცია გაგარძელდა 4 დღე.












სამოგზაურო კონფერენცია გაგრძელდა ერევანში. სადაც მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის დოქტორანტებმა: გიორგი გაბუნიამ და ოთარ მჭედლიშვილმა. ერევანში გაიმრთა ვორქშოფი თემაზე კულტურული მემკვიდრეობა და მისი თანამედროვე მდგომარეობა: პრობლემები და გამოწვევები. ვორქშოფის დასრულების შემდეგ მათ გადეცათ სერთიფიკატები.



Travelling Conference
SCFuture
"South Caucasus Urban Futures" - Smart, Systemic, Resource Efficient

Certificate of Participation

Gabunia, Giorgi participated in the travelling conference "South Caucasus Urban Futures" - Smart, Systemic, Resource Efficient, held from May 9 to 12 in Tbilisi and from May 14 to 17, 2019 in Yerevan.

In both events, he held a poster presentation with the title "Sustainable City – Waste Management System, Municipal Card, Mobile Application".

Yerevan, May 17, 2019

Prof. Jochen Siegemund
Project Manager
Faculty of Architecture, TH Köln

Tatevik Zakaryan
Festival Director
Architecture Week

Technology Arts Sciences TH Köln



Travelling Conference
SCFuture
"South Caucasus Urban Futures" - Smart, Systemic, Resource Efficient

Certificate of Participation

Mtchedlishvili, Otari participated in the travelling conference "South Caucasus Urban Futures" - Smart, Systemic, Resource Efficient, held from May 9 to 12 in Tbilisi and from May 14 to 17, 2019 in Yerevan.

Yerevan, May 17, 2019

Prof. Jochen Siegemund
Project Manager
Faculty of Architecture, TH Köln

Tatevik Zakaryan
Festival Director
Architecture Week

Technology Arts Sciences TH Köln

**ქ. ერევანში ჩატარებული ვორქშოფის ამსახველი ფოტო მასალა:**



ლექცია და ვორქშოპი „ექსტრემალური არქიტექტურა“

**2019 წლის 24-28 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდნენ ერასმუს + აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პორტუგალიელი არქიტექტორები მარგარიდა ლოურო და ფრანჩესკო ოლივეირა. 27 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც და 403 ც აუდიტორიაში მათ ჩაატარეს საჯარო ლექცია და ვორქშოპი თემაზე: „ექსტრემალური არქიტექტურა ანუ სახლები პატარა პლანეტისთვის“.**

„სახლები პატარა პლანეტისთვის“ (Houses for a small planet) არის საკვლევი პროექტი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს 2009 წლიდან ლისაბონის უნივერსიტეტის, არქიტექტურის სკოლის საკვლევ ცენტრში (CIAUD-FAULisboa). აქვს განვითარების რამდენიმე ფაზა: 2009–2011, 2012– 2014, 2015–2017 და 2018–2020. პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი მარგარიდა ლოურო, რომელსაც ასევე ჩართული ჰყავს CIAUD-ის სხვა მკვლევარებიც, ასევე პროფესორები FAULisboa-დან და სტუდენტები. პროექტის მიზანია გადაჭრას ინტენსიური ურბანიზაციის პრობლემა, რომელიც ბოლო ათწლეულში მოსახლეობის ზრდასთან ერთად დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება, ამასთანავე მოახდინოს რურალური ანუ სასოფლო სივრცეების მოდერნიზაცია და გამოძებნოს მიმდინარე პრობლემების ეფექტური და სწრაფი გადაჭრის გზები. პრობლემათა

ამგვარმა განვითარებამ განაპირობა კვლევის დაწყება მაღალ სიმჭიდროვესა და ურბანული სიცრის არაჯანსაღი ზრდის საკითხის გარშემო და კვლევის პირველ ფაზაში ამ პრობლემის კონტექსტში ლუანდას დასახლების მოყვანა (Luanda musseques). კრიტიკულმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ამ რაიონში საჭირო გახდა სასწრაფო ჩარევა, რადგან განსხვავებული მასშტაბის პრობლემები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. პროექტზე მუშაობისას კვლევის სხვადასხვა ფაზა განვითარდა, რომლებიც პროექტის მსვლელობასთან ერთად პერიოდულად ვრცელდება. შეხვდებით მათ ფინალურ სამაგისტრო პროექტებში, სამაგისტრო თეზისებში, საკომუნიკაციო პრეზენტაციებზე, საორგანიზაციო კონფერენციებსა და გამოფენებზე. ასევე ვრცელდება, როგორც პუბლიკაციები (წიგნები, სტატიები, მოხსენებები და ა.შ)

მარგარიდა ლოურო (მთავარი კოორდინატორი) დაიბადა ლისაბონში 1970 წელს, დაქორწინებულია და არის სამი შვილის დედა. დამთავრებული აქვს არქიტექტურის ფაკულტეტი ლისაბონის ტენიკურ უნივერსიტეტში (FA-UTL),1993 წელს. 1998 წლის ივლისში მოიპოვა მაგისტრის ხარისხი - თანამედროვე არიტექტურული კულტურა და თანამედროვე სოციუმის კონსტრუქცია. 2005 წლის აპრილში მოიპოვა დოქტორის ხარისხი კატალონიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში (ETSAB-UPC). 1997 წლიდან არის არქიტექტურის ფაკულტეტის ლექტორი. 2006 წლიდან წევრია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის საკვლევი ცენტრის (CIAUD) და მუშაობს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე, ხელმძღვანელობს მრავალ პროექტს. მისი საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებულია წიგნებსა და ჟურნალებში, საუბრებია სამეცნიერო არბიტრაჟებსა და გამოფენებზე. დღეისთვის ის ლისაბონის არქიტექტურის უნივერსიტეტის FAJunior-ის ოფისის ხელმღვანელია.

ფრანცისკო ოლივიერა დაიბადა ლისაბონში, 1970 წელს. დაამთავრა ლისაბონის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი 1993 წელს. 2001 წელს მოიპოვა მაგისტრის წოდება. 2008 წლის ოქტომბერში მოიპოვა PhD არიტექტურაში (არქიტექტურული დოქტორის ხარისხი) ტექნოლოგიის და კონსტრუქციული მენეჯმენტის სპეციალობით FA-ULT-ში. დღესდღეობით ის ასწავლის ლისაბონის უნივესიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე და მკვლევარია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის საკვლევ ცენტრში. პროექტები Housing for a small planet – housing models in territories of macro informal settlement, 2009 - პროექტი ნაწილია CIAUD-ის (ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის საკვლევი ცენტრი) საკვლევი პროექტისა - სახლები პატარა პლანეტისთვის. კვლევის დასაწყისში ყურადღება იქნა გამახვილებული არაფორმარულ, უსახურ განაშენიანებაზე (განაშენიანება ქალაქგეგმარებითი წესების დარღვევით), რომლის მსგავსიც ანგოლის რესპუბლიკის ქალაქ ლუანდაში ძალიან ხშირია. ამიტომაც პროექტზე მუშაობა სწორედ ამ დასახლების გარშემო დაიწო. NYC 6th Boro CLEAN TECH EXPO Water as liquid state of earth New York, 2011 – პროექტი ხორციელდება საერთაშორისო კონკურსის ფარგლებში – One Prize 2011: Water as the Sixth Borough of New York City. დისერტაციები /ფინალური სამაგისტრო პროექტები Reinhabiting a Port – China, Hong Kong, Port of Aberdeen Designing the Informal – Bangladesh, Dhaka, Karail Slum Regenerating a Destroyed City – Haiti, Port-au-Prince A Planet of Favelas – Brazil, Rio de Janeiro, Rocეinha On the Edge of the Waterfront – USA, New York, Battery Park City Urban Tradition and Identity – Mexico, Oaxaca The Urbanization of Poverty – Thailand, Bangkok, Klong Toey Inhabiting the Uninhabitable – Philippines, Manila, Navotas Cemetery Emerging Places – India, Mumbai, Dharavi Between the Formal and the Informal – Angola, Luanda, Chaba From developed to derelict - Portugal, Lisbon, Rossio Learning from Informality – Indonesia, Jacarta Migration crisis in Europe – France, Calais (Re)Inhabit Luanda – Angola, Luanda, Prenda neighborhood Going UP: Connecting formal and informal – Japan, Tokyo Emergency Architecture Syria, Aleppo The Soviet House and its adaptation - Moldova, Chisinau Macau, Fai Chi Kei District (ongoing) Indonesia, Bali, Kawasan Kumuh (მიმდინარეობს მუშაობა) United Kingdom, London (მიმდინარეობს მუშაობა) Brazil, Dourados, (მიმდინარეობს მუშაობა) Mozambique, (მიმდინარეობს მუშაობა)

მასალ მოამზადა სალომე მათითაიშვილმა.

ვორქშოფი ,,ექსტრემალური არქიტექტურა“ დაიწყო 15.30 სთ. და გაგრძელდა 18.30 სთ.–მდე.

**პროექტი გულისხმობს მობილურ და სწრაფად დასამონტაჟებელი სხვადასხვა ტიპის ობიექტების ან საცხოვრებელი სახლების დაპროექტებას.**

**ვორქშოფი გაგრძელდა 5 საათი, რომლის დროსაც სტუდენტებმა ტუტორებთან ერთად შეარჩიეს კონკრეტული ლოკაცია თბილისში და ადგილის კონტექსტის გათვალისწინებით მოიფიქრეს კონცეპტუალური იდეა მობილური, მარტივად ასაწყობი სტრუქტურისთვის. აღნიშნულ პროექტზე მუშაობდნენ სტუდენტთა 3 ჯგუფი. თვითოეულმა აირჩია სხვადასხვა ლოკაცია. პროექტის დასრულებისთვის სტუდენტებს მიეცათ ერთი თვის ვადა. ამ პერიოდის განმავლობაში პორტუგალიელი არქიტექტორები მიაწოდებენ სხვადასხვა მასალებს.**



პროექტის შესახებ და ავტორებზე მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ვებგვერძე:
http://casasparaumplanetapequeno.fa.ulisboa.pt/ENG/dissemination/dissertacoes-projetos-finais-de-mestrado.html

**სტუდენტური კონკურსი: ,,გადმოსახედის“ ესკიზური პროექტი**

2019 წლის 15 მაისს საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გადმოსახედი მოედნების მშენებლობას გეგმავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სპეციალურად შერჩეულ ადგილებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და გზების მიმდებარედ, ტურისტულად მიმზვიდელ ისეთ ადგილებში საიდანაც იშლება შორეული ხედები. მუნიციპალური განვითარების ფონდი პროექტის განხორციელებას სტუდენტების ჩართულობით
